თეგერვალი 1905

შ ი ნ ა ა რ ს ი

უურნალ „ჯეჯილისა“

83

I სურათი:—ზამთარი 3
II ოჯახის ლხენა ლექსი—დ. თომაშვილისა 4
III ძაღლისა და კატის მეგობრობა—ტასოსი 6
IV თაგვი იგავი—ალ. მიჩიანაშვილისა 7
V სამართლიანი მეფე (თარგმანი)—ტასოსი 8
VI სადღესასწაულო საჩუქარი—ა. სოლოდაშვილისა 10
VII თხუნელას ღლაპის თავ-გადასავალი—თ. ჯანდელაკისა . . 20
VIII გლეხი, დათვი და მელია (ხალხური ზღაპარი)—ს. დათუ-
შაძისა 27
IX წვრილმანი: გამოცანა, აკროსტიხი, მიხვედრილი ბავში,
შარადა, ამოცანა და ახსნა. 30
X ზამთარი ლექსი—ქოჩოსი 33
XI ალმასი (ფრანგულიდან)—კლდიასი. 35
XII ხვესური წიქა—დ. ჰაკლიაშვილისა 37
XIII ეახტანგ მეხუთე მეფის დარბაზობა—ალ. სარაჯიშვილისა . 50
XIV ტროადის ომი, (ოქროს ვაშლი)—ალ. უუმისთაველისა . 60
XV ფიზიკური გეოგრაფია პროფესორი გეიკისა—სან—ინისა. 65
XVI ომიანობა ზღვაზე (თარგ.)—ს. ციციშვილისა 72
XVII წვრილმანი: შარადა 76

საუმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაბუდი, გახდი ყანაო'..
ი. დ.

№ II

წელიწადი მეთექვსმეტე

ტფილისი
სტამბა ტ. მ. როტინიანცისა, № 41 || Тип. Т. М. Ротиніанца, Гол. пр. № 41
1905

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4-го Февраля 1905 г.

ოჯახის ლხენა.

(გუძღვნი პატარა ნუცას).

თელ სახლობის ლხენა არის
ბაწაწინა ცუგრუმელა,—
ამ კუდრაჯამ ეშმაკობით
გააჯერა სწორეთ ყველა!..

—

ვინ ჩამოთვლის მის ოინებს
რაებს ჩადის და რას არა!..
თითქო ფრინავს ბეჭელასებრ
მოუსვენრათ, წარა-მარა!..

—

ხან თამაშობს დამალვიას,
კარებს უკან იკუნტება
და რომ «გუგუ»-ს დაიძახებს,
წამსვე თითონ გამოხტება!..

—

ხან შემვრება მაგიდას ქვეშ,
იქ რალაცას უტუტუნებს,

ხანაც კიდევ ტკბილეულსა,
როგორც თაგვი, აკნატუნებს!

—

იქ აკვანში მძინარ მიხას
ეუბნება «სუ-სუ-ნანას»,—
სათვალთმაქცო მოჩვენებას
არ შეეურივარ ამისთანას!..

—

თამრო, ვასო და დათიკო
შეადგენენ მის ამალას...
ხან კი მამაც ჩაერევა —
სიხარულსა ვეღარ მალავს!..

—

ის, დაღლილი, აქ ისვენებს,
თან ჩუმ-ჩუმათ ეცინება...
ბებიას კი, ამის მჭვრეტელს,
გულზედ ვარდი ეფინება.

—

დიაღ, ნუცას ოინებით
მხიარულობს სახლი მთელი
და სუფეელა მღიმარია
სტუმარი და მასპინძელი.

დ. თომაშვილი.

ძაღლის და კატის მეგობრობა.

ერთი ოჯახიდან მსახურს გაატანეს კატის კნუტი წყალში ჩასაგდებათ. სახლის ძაღლი დაედევნა უკან. მსახურმა გადააგდო თუ არა კნუტი პატარა ტბაში ცუგრამ მაშინვე ამოიყვანა ის წყლიდან.

მსახურმა მეორეთ გადააგდო კნუტი წყალში; ცუგრამ ხელმეორეთ ამოიყვანა.

როდესაც მსახურმა მესამეთ ჩააგდო საბრალო კნუტი წყალში — ცუგრამ მესამეთაც მოინდომა მისი გადარჩენა; ჩავარდა წყალში, პირი წაავლო კნუტს, გაიყვანა წყლის მეორე ნაპირას და სხვა გზით სახლისკენ გააქანა. ცუგრა მხოლოთ მაშინ დამშვიდდა, როდესაც მთლათ დასველებული საბრალო კნუტი სამზარეულოში ცეცხლაპირას დააწვინა.

მას შემდეგ ძაღლი და კატა განუყრელი მეგობრები შეიქნენ.

ტასო.

(თარგმანი)

თაგვი.

იგავი.

ბელლის კარებთან დაგებულ მახეში თაგვი გაება. ამ დროს ბელლის პატრონი მივიდა, მახეს ხელი მოავლო და თაგვის მოკვლა დააპირა.

— შემიბრალე, — ევედრებოდა თაგვი, — რას ვაშავებ, ვისთვის რა სიავე გამიწევია, რათა მკლავ? თუ ბელელში დავსუნსულებ, შენს საზიანოთ ხომ არა; კუჭი მაწუხებს და ხორბალს დავეძებო

— მეც შენს დღეში ვარ, — მიუგო ბელლის პატრონმა, — მე შენთან გამოლაშქრებას რას ვაქნევ, რათ მინდიხარ, რაში გამომადგები? ჩემი ბელლის დარდი მაქვს, იმას ვუფრთხილდები და მახეს მიტომ ვდგამო.

თქვა, თაგვს თავი გაუსრისა და კატას მიუგდო.

ალ. მირიანაშვილი.

სამართლიანი მეფე.

რთმა მეფემ ააგებინა თავისთვის მვირფასი სასახლე და სასახლის წინ გააშენა შვენიერი წალკოტი. ამ წალკოტის შესავალთან იდგა ერთი დანგრეული ქოხი და შიგ ცხოვრობდა ღარიბი გლეხი.

ეს ქოხი მეტათ აუშნოვებდა სასახლისა და წალკოტის სიმშვენიერეს. ამიტომაც მეფემ გაგზავნა თავისი ვეზირი გლეხთან ქოხის შესასყიდლათ.

ვეზირი მივიდა გლეხთან და უთხრა:

— მეფე გიპირებს გაბედნიერებას. შენი ქოხი ერთ ფარათაც არა ღირს და ის ას ოქროს გაძლევს.

— არა, მე ჩემს ქოხს ას ოქროთ არ გავუიდი.

— მაშ მეფე ორას ოქროს მოგცემს.

— არც ორასათ და არც ათას ოქროთ არ გავუიდი, ბაბაჩემი და მამაჩემი ამ ქოხში ცხოვრობდენ, აქვე დაიხოცნენ, მეც სულ აქ მიცხოვრია და ბოლოს სულსაც აქ დავლევ.

ეახლა ვეზირი მეფეს და მოახსენა:

— გლეხი ჯიუტობს, არა ჭუიდის ქოხს; მიბძანე და ახლავე დავანგრევინებ.

— არა, არა ვიქ მაგას. — უპასუხა მეფემ.

ვეზირმა მოახსენა:

— როგორ შეიძლება, რომ ამისთანა შვენიერ სასახლის გვერდით იმისთანა ნანგრევი ქოხი იდგეს. ყველა იმას იფიქრებს, მეფეს იმდენი ფული არა ჭქონია, რომ ეს ქოხი შეესყიდაო,

ამაზე მეფემ უპასუხა:

— არა, მაგას არავინ იფიქრებს. ვინც შეხედავს სასახლესა და წალკოტს ყველა იტყვის—მეფეს ბევრი ფული ჭქონიაო და როცა დაინახავს ქოხს, იტყვის:—ეტყობა მეფე სამართლიანი ყოფილა, რომ არ გადაუსახლებია გლეხიო.

ტასო.

(თარგმანი)

საღლესაწაულო საჩუქარი.

I

�o თავდიდიშვილის ქვრივს გამოეტანა რიუეზე ხორბალი და რეცხავდა. მისი თმა-ჯაგარა და ჭრელ-თვალება ჰატარა ქალი კეკუცა იდგა წყალში, ათას ალაგას დაკონკილი კაბა აეკარწახებინა და ტოლჩით დედას ვარცლზე წყალს უსხამდა, თან ერთ ხელში ჰურის დიდი უუა ეჭირა და დრო-გამოშვებით გემრიელათ კბეჩავდა.

ამ დროს სასეირნოთ გამოვიდენ კონიაშვილის კნეინა თავის ჰატარა ქალით ელიკოთი. ესენი ზამთარ-ზაფხულ ოველთვის ქალაქში სცხოვრობდენ და ამ ზაფხულს ჰირველათ იუვენ მოსული თავიანთ მამულში სააგარაკოთ. მათი სახლი რიუეს გადასცქეროდა და რა დაინახეს ჰურის მრეცხავი, იქით გაემართენ. კნეინას უნდოდა ელიკოსთვის ჰურის რეცხვა ეჩვენებინა.

— დილა მშვიდობისა, ნათლიდედავ! მიესალმა სიდოს კნეინა — ჰურსა რეცხავ?

— ღმერთმა გადღეგრძელოს, ქალბატონო, მიუგო თა-

ვის დაკვრით სიდომ და ფეხზე წამოდგა — დიახ! ჩემისთანა ქვრივ-ოხერი ჰურს როგორ გარეცხავს, გაურეცხავიც გვენატრება, მაგრამ ჰურის გაკეთებაში ვეხმარებოდი სხვას და მეტის-მეტათ ღვარძლიანი ხორბალი მომცეს, ამასთან ცალიერი მიწაა, ქალბატონო და ამისათვის ვრეცხავ...

— რომლის ოჯახობა სარ, ნათლიდედა?

— თავდიდიანთ მათეს ქვრივი გახლავარ, შენი ჭირიმე, ჩემმა კაცმა შარშან თქვენი ჭირი წაიღო.

— ესეც შენი ქალი იქნება, არა? რა კარგი გოგონა ჩანს! რა ჰქვიან? რამდენი წლისაა? სკოლაში არ დაგიდის?

— აგერ მეშვიდეში გადადგა, თქვენი ჭირიმე... მიუგო სიდომ — თავს იკლავს სკოლაში მიმაბარეო, მაგრამ სად შემიძლიან, შენ შემოგევლე, ამოდენა გოგოს ტიტველას ხომ ვერ ვატარებ და მე-კი არა გამაჩნია-რა. ჩვენი უბნიდან ბევრი გოგო-ბიჭები დაიარებიან სკოლაში. ამ საცოდავმა ტირილით თავი მოიკლა, როცა სკოლაში მიბარების უარი ვუთხარი.

ელიკო გაოგაცცებით შესცქეროდა კეკუცას. ჰირველ დანახვაზედვე ის თავისი გრუზა-თმით და ჭრელის თვალებით მეტათ მოეწონა ელიკოს. თვითოეული სიტყვა სიდოსი მას გულში ებეჭდებოდა და სიყვარულისა და სიბრალულის გრძნობას ულვიძებდა.

ელიკო, როგორც ზევითა ვთქვით, ჰირველათ იყო სოფელში და თავის დღეში არ ენახა ისეთი ადამიანი, რო-

მელსაც ძველი ტანისამოსი მაინც არა ჰქონოდეს; ქალაქში მას სულ ზიზილ-პიპილებით დართული ამსანაგები ეხვია გარს.

— საწყალი კეკუცა, სკოლაში უნდა წასვლა და-კი არ უშვებენ! წაილაპარაკა თავისთვის ჩუმათ ელიკომ და ამოიოხრა. მას ისე შეებრალა კეკუცა, რომ კინაღამ ტირილი დაიწყო. საშინლათ უნდოდა გადახვეოდა ამ პატარა შიშველ-ტიტველა გოგოს და ეთქვა: «ძეგობრები ვიუვნეთ, ჩემო კეკუცი, და შუაზე გაგიყოფ ყველაფერს, რაც-კი რამ მაქვსო». მაგრამ დედის უკითხავათ როგორ გაბედავდა!

სიბრალულ შესცქეროდა ელიკო სოფლის გოგონას, ალარ უნდოდა მოშორებოდა, უნდოდა რამე ეთქვა, უნდოდა ეკითხა: შენც გინდა ჩემი ძეგობრობა თუ არაო, მაგრამ როგორ ეტყოდა, კეკუცა მეტის-მეტათ მორცხვათ იქცეოდა, სულ თავ-ჩაღუნული იდგა, ზევით ერთხელაც არ აუხედნია და გულში ფიქრობდა: ნეტა ჩქარა მოგვშორდენ ეს დაუპატიჟებელი, მორთულ-მოკაზმული სტუმრებიო.

— საწყალი კეკუცა! ამოიოხრა ელიკომ — რა იქნება, დედილო, რომ კეკო ჩვენსა წავიყვანოთ?!.. კარგი არ იქნება? შეეკითხა ელიკო დედას, როდესაც რიყეს კარგათ მოშორდენ.

სიცილათაც არ ეყო ელიკოს სიტყვები კნეინას. უბრალო ცნობის მოყვარეობათ, უმნიშვნელო სიტყვებათ მიიღო და ფიქრათაც არ მოსვლია, რომ ეს ელიკოს გულ-

წრფელი თხოვნა იყო. ელიკოს დიდათ უსაროდა, რომ ამ-სანაგი იშოვა.

— დავუასლოვდები, ყოველ დღე ვნახავ, ერთათ ვითა-მაშებთ ხოლმე. მაგრამ საშინლათ ვწუხვარ, რომ ერთი სი-ტყვითაც ვერ გამოველაპარაკე, ალერსიანი სიტყვა ვერ ვუთ-ხარი, ფიქრობდა ელიკო.

თმა-გაბურძგნული ჭრელ-თვალა გოგონა, ფეხშიშველა, დარცხვენით თავ-ჩაღუნული, მუდამ თვალ-წინ უდგა ელი-ლოს და საოცრათ ებრალებოდა.

II

ელიკო მოუთმენლათ ელოდა გათენებას, სოფლის გო-გონას ნახვას, მასთან ლაპარაკს და როგორც-კი გათენდა, ფაციფუცით ჩაიცვა, საჩქაროზე ისაუზმა და გამდელს შე-ეხვეწა სასეირნოთ წამიყვანეო.

— გაღმა გავიაროთ, თებრო, ჭალისკენ... უთხრა ელი-კომ გამდელს და გასწია ჭალისაკენ.

— თებრო, თუ იცი კეკუცა საითკენა ცხოვრობს? შე-ეკითხა ელიკო სახლს რომ ცოტათი გასცდენ.

თებრო იმ უბნის შვილი იყო, სადაც სიდო იდგა და გაუსვია იქითკენ, თან-კი გულში ფიქრობდა: «სად ჩემი ქალ-ბატონი და სად ღარიბ-ღატაკის გოგო!»

როდესაც თებრომ და ელიკომ სიდოს ქოხის კარი შე-

ალეს დაინახეს, რომ კეკოს ჭილობზე მოეკეცნა, თითო ხელში თითო თოჯა—დედოფალი ეჭირა, წითელი ძაფისაგან გაკეთებული და გაჩქარებით ლეკურს ათამაშებდა. ცოტა არ იყოს შერცხვა კეკოს, როდესაც მოულოდნელი სტუმრები თავს წაადგენ, თავი ძირს ჩაღუნა და ხმა ვეღარ ამოიღო.

— მეცა მყავს, კეკო, კუკლები, მოდი მოვიყვან და ერთათ ვითამაშოთ. პირველი გამოელაპარაკა ელიკო, კარგა ხანს სიჩუმის შემდეგ.

კეკოს თან გულში ძალიან იამა, ბატონის ქალს ჩემი სახელი სცოდნიაო და თან შეწუხდა, რატომ მეც არ ვიცი მისი სახელიო.

კეკომ თავი მაღლა აიღო და მორცხვათ შეხედა ელიკოს; ეს შეხედვა იყო დასაწყისი მათი მეგობრობა-ნაცნობობისა.

— თებრო, წადი და ჩემი კუკლები აქ მომგვარე. უთხრა ელიკომ გამდელს.

თებროს არაფრათ ეჭაშნიკა პატარა ქალბატონის ასეთი უცნაური სურვილი, «ვინ იცის კნეინა რას იტყვისო!» გაიფიქრა, მაგრამ უარის თქმა ვერ გაბედა; დედის-ერთა ელიკოს სურვილი ყოველთვის დაუყოვნებლივ სრულდებოდა მათ ოჯახში. თებრო საჩქაროთ წავიდა ელიკოს ბძანების ასასრულებლათ.

— რა ჰქვიან, კეკო, შენს კუკლებს? ჰკითხა ელიკომ კეკოს, თებროს წასვლის შემდეგ.

— ჩემს დედოფლებსა? ერთსა მაგდანა ჰქვიან, მეორეს ჰელაი.

— ჩემსას-კი კატუშა, ტანია, ლიდა... აქაც არის საათამაშოები გასაყიდი, კეკო? დაეკითხა ბოლოს ელიკო.

— არა. დარცხვენით უპასუხა კეკომ — მე თითონ გავაკეთე.

— შენ თითონ როგორ გააკეთე?! ან კაბებს საიდან შოულობ?

— კაბებსაც და ჩისტი-კოჰებსაც სულ მე ვუკერავ ხოლმე ჩემს დედოფლებსა.

— მოდი, კეკო, მეც მასწავლე კუკლებისათვის კაბების კერვა.

— ესლა ნაკუწები არა მაქვს-რა, თორემ გამოვჭრიდი და გაჩვენებდი — მიუგო თან-და-თან გათამამებულმა კეკომ — ნაკუწებს მღვდლიანთ ტურფა მაძლევს, მერე მე გამოვჭრი და შევკერავ ხოლმე.

— მოდი ჩვენსა წავიდეთ, იქ ბევრი ნაჭრები ექნება დედაჩემს.

ელიკოს სიტყვებმა ძალიან გაახარა კეკო. «წავალ ბატონიანთ სახლში, რომელიც მუდამ ისე ბრჭყვიალებს და ოქრო-ვერცხლით არის შემკულიო» გაიფიქრა სიხარულისაგან გაწითლებულმა კეკომ.

ბატონიანთ სახლს რიეის მხარეს ბევრი ფანჯრები ჰქონდა. როდესაც ჩამავალი მზის სხივები ამ ფანჯრებს მი-

ადგებოდა ათასფერათ ააბჟუვრიალებდა ხოლმე შუშებს და სოფლის გოგო-ბიჭებს ასე ეგონათ ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი ბრჭყვიალებსო.

— შენ ჯერ სკოლაში არ გიშვებენ, კეკო? ეკითხებოდა ელიკო —მაშ შინ სწავლობ? მეც ჯერ შინ მაშზადებენ და მერე სკოლაში უნდა მიმაბარონ.

— ბარემ მეც მინდა სკოლაში სიარული, მაგრამ... კეკო შეჩერდა და ღრმათ ამოიოხრა... სადა მცალიან—კალოობას რევაზაანთ მნას ვუდგევარ ხოლმე, მერე მღვდლიანთ კაკლის დამტვრევასა და გარჩევას ვშველი, ჩურჩხელების ასხმას. შინაც კიდევ დედას ვეხმარები სახლის დაგვა-დალაგებას. კვირაობით-კი გოგოები ერთათ შევიკრიბებით ხოლმე, დედოფლებს ვაწვევთ ერთმანეთს და ლხინსა ვმართავთ. სადილს შემდეგ კრუხიანთ ვენახში კაკლის ქვეშ ვიურით თავს მთელი უბნის გოგოები და დაირა-ბუზიკაზე ვლხინობთ.

ასე კარგახანს იტიკტიკეს ამ ორმა ახალმა მეგობრებმა და შემდეგ კეკომ მკირფასი სტუმარი რიუემდის მიაცილა და გახარებული დაბრუნდა სახლში. ელიკოც ნაკლებ არ იყო გახარებული.

— კეკო ძალიან შემიყვარდა და უნდა იმასთან ვითამაშო ხოლმეო—მიმართა ელიკომ დედას შესვლის უმალ და ყელზე მოეხვია.

დედამ აღარ დაუშალა თავის საყვარელ შვილს სოფლის გოგოსთან თამაში და ელიკოს თხოვნით მისი გამო-

ნაცვალი ტანისამოსიც გაუგზავნა კეკოს და ამას შემდეგ ყოველ დღე ორი ახალი მეგობარი ერთათ ატარებდა დროს.

მთელმა ზაფხულმა შეუმჩნევლათ გაირბინა. მოახლოვდა აგვისტო და მეგობრების გაურის დროც მოვიდა; ელიკო სკოლაში უნდა მიებარებინათ და ქალაქში წაიყვანეს.

კეკო ისევ მარტო დარჩა.

ყოველ დღე ემუდარებოდა ელიკო დედას, ჩამოვიყვანოთ კეკო ქალაქში და სკოლაში იარონსო, მაგრამ დედა უარს ეუბნებოდა.

ელიკო დაჯავრიანდა. მუდამ მხიარულს, ცქრიალას ვეღარც-კი სცნობდენ, ისე გამოიცვალა, ჩაჩუმდა. დედა ელიკოს თხოვნას ჰირველათ ყურადღებას არ აქცევდა, ეგონა სოფლის ცოცხ მალე გადაავიწყდება და თავს დაანებებსო, მაგრამ ელიკოს თხოვნა უბრალო არ იყო, ის სულ მუდამ კეკოზე ფიქრობდა, დარდობდა...

III

მოახლოვდა შობის დღესასწაული. ელიკო გულის-ფანცქალით მოელოდა ამ დროს, მშობლებმა გამოუცხადეს საშობაოთ სოფელში წავალთო.

— ვნახამ ჩემს საყვარელს მეგობარს, ჩემს საწყალ კე-

კოს და გავისარებთ ერთმანეთის ნახვითაო. ფიქრობდა ელიკო და სული-სულზე მოელოდა ოკ-და-ორს ქრისტეშობისთვეს.

დადგა ოკ-და-ორი ქრისტეშობისთვეც. ელიკოსთვის ეს დღე დღესასწაულია. ამ საღამოს მას მიაგრიალებს ეტლი სოფელში, თავის საუვარელ მეგობართან.

შობა დღე გათენდა. ჩვეულებრივი სადღესასწაულო ელფერი მიიღო ელიკოს დედ-მამის ოჯახმაც. მთელი ოჯახი მხიარულობს: ელიკო გახარებულია მეგობრის შეხვედრით, მისი მშობლები კიდევ ელიკოს სიხარულით.

ამოალაგა კნეინამ ნაირ-ნაირი სათამაშოები და მვირფასი ტანისამოსი, გადაჭოცნა ელიკო და შობა ქრისტესი მიულოცა.

იმ წამსვე ელიკოს კეკო მოაგონდა, ცოტა შეფიქრიანდა და უცბათ დედას კისერზე მოეხვია.

— ერთი რამ უნდა გთხოვო, დედილო! ალერსით მიმართა ელიკომ დედას.

— მითხარი, დედა ვენაცვალოს, და აგისრულებ.

— სიტყვას მაძლევ?!..

— შენ არ მომიკვდე აგისრულებ!..

ელიკო სიხარულმა აიტაცა, იცოდა რომ თუ დედა ელიკოს დაიფიცავდა კიდეც შეასრულებდა.

— მაშ თუ აგრეა, დედილო, კეკუცა წავიუვანოთ ქა-

ლაქში და სკოლაში მივაბარონ! შესთხოვა დედას ელიკომ.

კნეინა ამას სრულიად არ მოელოდა და ამიტომ ჯერ ცოტათ შეეუმდა, ბოლოს შუბლზე აკოცა შვილს და უთხრა:

— აგრე იყოს, ჩემო ჩიტო! იანვრიდან კეკოც შენთან ერთათ ივლის სკოლაში.

აღსრულდა ელიკოს დიდის ხნის სურვილი. ამაზე მეტი საჩუქარი მას აღარ ენატრებოდა.

გახარებული ელიკო მაშინვე გაექანა კეკოსთან, შეეარდა ქოხში, ელზე შემოეხვია თავის საყვარელ მეგობარს და აღტაცებით შეჰყვირა:

— კეკო, კეკო, შენც ივლი სკოლაში!.. დედამ თხოვნა შემისრულა, მენც ჩვენთან უნდა წაგიყვანოთ!

კეკომ მეტის სიხარულისაგან ხმა ვეღარ ამოიღო და ტირილი დაიწყო.

დღესასწაულები სიხარულით გაატარეს ჰატარა მეგობრებმა.

მართალია კეკოსათვის დედის მოშორება ძალიან მნელი იყო, მაგრამ სწავლის სურვილმა თავისი გაიტანა და კეკოსაც დაუწყეს საქალაქოთ მზადება.

ნათლის-ღების მეორე დღეს ელიკოს და კეკოს ეტლი ქალაქისკენ მიაქროლებდა.

ალ. სოლოლაშვილი.

თხუნელას ღლაპის

თავ-გადასავალი.

ბიჭებო, თხუნელა*) ნახეთ, თხუნელა! დაიუვირა ვასომ და მთელი უბნის ბავშები თავს დაიხვია.

ხის ძირთან ხავხავებდა დაოსებული ჰატარა თხუნელა და ცდილობდა ჩამალულიუო მიწაში, მაგრამ ძალ-ღონე გამოლეული ვეღარ სმარობდა თავის ბარ-ნიჩაბს მიწის სათხრელათ. ბურთივით გაიგდეს და გამოიგდეს ბავშებმა, სანამ თვითონ გულს იჯერებდენ და საცოდავს სააქაოს გამოასალმებდენ!..

ამ თხუნელას ოჯახობა ცხოვრობდა მიწაში. მამა-თხუნელა ასუფთავებდა გზა-ხვრელებს, რომლებიც ხშირათ ამოივსებოდა ხოლმე მიწით; დადიოდა მწერებზე სანადიროთ და სხვ.. დიასახლისი თხუნელა და მისი შვილები შველოდენ მამასსახლისას და ასე გართული იუვენ საქმეში დილიდან საღამომდის. კმაყოფილნიც იუვენ თავიანთი აწმყოთი და არ ეძიებდენ უკეთესობას, ცხოვრების გაუმჯობესობას. მხო-

*) თხუნელას—მუდოსაც უძახიან.

ლოთ უმცროსი ვაჟიშვილი ამ ოჯახობისა გამოვიდა რა-ღაც ახირებული ზნისა და მოუსვენარი ხასიათისა. მას რა-ღაც ეშმაკათ ტლანქი თათებიც გამოჰყვა და არ ეხერ-ხებოდა ხვრელის თხრა სხვა თხუნელებსავით. ფილტვებიც მგონი თხუნელისა არ ჰქონდა: სუნთქვა უძნელდებოდა მიწაში და სული უგუბდებოდა! მაინც საშინელი სიბნელე და ვიწროობა-კი იყო, ღვთის წინაშე, ამ გვირაბებში. სა-ითაც წავიდოდა, ყველგან სიბნელე და ვიწროობა აწუხებ-და. «ამისთანა სიცოცხლე რა სიცოცხლეაო», იფიქრა თხუ-ნიამ და გაიქცა დედ-მამასთან საჩივლელათ.

— ბიჭო, შვილო! ჩვენს მამა-ბაბებს აქ უცხოვრიათ და რალა შენ იწუნებ ყველაფერს, რაც ჩვენთვის მოსაწონიაო! უთხრეს მშობლებმა: ე მანდ მიიარ-მოიარო, ჭია-ღუები იპოვნო და კუჭს მიაწოდო, ის გირჩევნია მაგ რეგვნულ ბუსხუნსა და წუნიაობასაო!..

თხუნიას შერცხვა და თავი ჩაღუნა. ხან აქეთ ეცა, ხან იქით მიაწყდ-მოაწყდა, მოიძღო კუჭი ბუზანკლებითა და ჭია-ღუებით, მაგრამ ეს «რეგვნული წუნიაობა» არ გამოდიო-და გონებიდან. «ყველგან ხვრელები და ხვრელები და ამ ხვრელებში მარტო თხუნელების მოძრაობა, მიმოსვლა, სხვა არაფერი!.. ეგ არის სიცოცხლე!..»

დიდხანს ითმინა, ბევრი იფიქრა თხუნიამ და ბოლოს ისევ გაიქცა დედ-მამასთან.

— ჩვენ მამა-პაპებს ოქველთვის ამისთანა ხვრელებში უცხოვრიათ? დაიწყო გამოკითხვა თხუნიამ.

— ოქველთვის, შენმა გაზდამ, ოქველთვის! მაშ სად წავიდოდენ?!

— დავიჯერო, სული არ უგუბდებოდათ, იმ ცხონებულებს!

— მა რაღა თხუნელები ვართ, თუ-კი სული შეგვიგუბდება!

— ნუ თუ სხვა არა უნახავთ-რა ამ ქვეყნიერობის მეტი? ნუ თუ სხვაგან სადმე ამაზე განიერი და ნათელი ქვეყანა აღარ მოიპოვება?!

— ჩვენთვის არა და სხვებისთვის-კი! თხუნელებისთვის დაწესებული ქვეყანა ეს არის. მაგრამ მაგისთანა მეტიჩრობასა და ტიტინს რომ თავი დაანებო და გზებისა და სოროების თხრა ისწავლო, ის გირჩევნია, ჩემო ცუღლუტო თხუნიავ! უთხრა მამამ.

თხუნია გაჩუმდა და ხელი მიჰყო მუშაობას, მაგრამ არ ესერხებოდა საქმე, ვერა შველოდა რიგიანათ თავისიანებს და ამიტომ მას ცუღლუტი და უკეთური დაარქვეს.

დედამიწა რომ აღმა-დაღმა, წაღმა-უკუღმა ათხარ-ჩათხარეს, გათხარ-გამოთხარეს, კაი გუთანივით კვლები გაატარ-გამოატარეს და მუშაობით გული იჯერეს, მთელი ოჯახობა ჭამას შეუდგა.

— რა სასიამოვნოა პატიოსანი შრომის შემდეგ დასვე-

ნება და გემრიელათ ჰურის ჭამაო! წარმოთქვა მამა თხუ-
ნელამ კმაყოფილების კილოთი.

— განა იქნება სადმე ჩვენ საბნელეთზე უკეთესი ად-
გილიო? დაუმატა სიამოვნებით დიასახლისმა თხუნელამ.

ღლაპი თხუნია ამ დროს კუთხეში მხარ-თეძოზე წამო-
წოლილიყო მოქანცულ-დაღონებული და ჭკუაში არ მოსდი-
ოდა დედ-მამის სიტყვები. ის თითქო შეურიგდა თავის ყო-
ფა-ცხოვრებას, მაგრამ გულში რაღაც სევდა დაებუდა და
მოსვენებას არ აძლევდა. ჩამოხმა, დახორავიჭდა ცნობის
მოყვარე თხუნელა. მოკეთეებმა დაუწყეს მას მოვლა, ჭმევა
და ექიმობა, მაგრამ მას ცვლილება არ ეტყობოდა. ერთ-
ხელ, ხვრელებში რომ დაძვრებოდა, ღლაპმა რაღაც სიო
იგრძნო და შორიდან შუქის ზოლს მოჭერა თვალი. გულ-
მა ტოკვა დაუწყო და თითქო უფრო თავისუფლათ ამო-
ისუნთქა. «ყოფილა, ხვრელებს გარდა, სხვა ქვეყანაცაო!»
გაიფიქრა მან.

ხვრელის ამონათხარი მიწა წვიმის წყალს ჩაეჭამა და
მაბრის მსგავსი ნაპრალი გაეკეთებინა. ჩვენი თხუნია აცოც-
და ამ ჯუჯრუტანაში და... ოჰ, სისარულო!.. ჰაერი და სი-
ნათლე იგრძნო. მაგრამ ხვრელეთიდან მიცვივდენ თვის-
ტომნი და შეშინებულის კილოთი შეჰკივლეს.

— აქეთ, შე სულელო! თორემ მოვიდა შენი აღსასრუ-
ლის დღეო! და კურტ-უკულმა ჩაათრიეს სოროში.

— შენი, ჭირიმე, დედა! ჰაერი!.. სინათლე! წრუწუნებ-

და თხუნია: რათ მიმალავდით და არას მეუბნებოდით?!

— დადექ შენს ქერქში, თორემ აჯა! ნუ ატეხილხარ საბგლე გოჯივით! იქ ჩვენი მტრების ქვეყანაა, მხეცების, ნადირების, რომელთაც უყვართ ჭაერი და სინათლე და არა ჩვენი!..

— ხვრელები-კი არა აქვთ იმათაც?

— რათ უნდათ ხვრელები!

— მაშ სად დადიან? როგორ დადიან?

— ეშმაკმა იცის იმათი თავი და ტანი! რაღაც ბალასები, ხეები და საზიზღარი გაშლილი ალაგებია და იქ დადიან!

— რატომ ისინი-კი არ იღუჰებიან იქ? ვინ არიან ისინი?

— ათასი ვინმეა, მაგრამ ჩვენისთანა უწეინარი და კარგები-კი არ არიან! ისინი სისხლის მსმელები არიან, დაუნდობლები!..

ამ დროს მაღლიდან მოისმა რაღაც ერუ ეეფა და ხვრელში ფხვიერი მიწა ჩამოცვივდა.

— ვაიმე, ძაღლი, ძაღლიო! შეჰყვირეს თხუნელებმა და ეცნენ აქეთ-იქით დასამალავათ.

— აი ვინ არიან შენი სინათლისა და ჭაერის ქვეშინის მცხოვრებნიო! უთხრეს შიშისაგან აკანკალებულ ჰატარა თხუნელას.

დიდხანს იმაგრა თავი ღლაჰმა თხუნიამ და ვეღარ ბედავდა ზევით ასვლას, მაგრამ ბოლოს სულმა წასძლია.

იდროვა ერთხელ და აღოცდა ჯუჯრუტანაში. ფხვიერი მიწა ჩაიშალა და თხუნელას გაუძნელდა მუშაობა. მაგრამ მან ძალა დაატანა თავის თავს და იმ შიშით, რომ არავის გაეგო და არ დაენახა, გაჩქარებული დაუწყო მიწას თხრა.

— რაც იუვეს, იუვესო! ჰფიქრობდა თხუნია: მე მიწაში ცხოვრება ადარ შემიძლია; მინდა სინათლე და ვრცელი ალაგებიო!.. რათ უნდა ჩავისრჩო ამ საზიზღარ ხვრელშიო! თქვა და გასწია ზევით-ზევით.

აი დაჭბერა ჰაერმაც. ორიოდ ფეხის მოსმაც და ამოჭეო ცხვირი მიწის ზემოთ. მაგრამ იმან ვერ გაუმაგრა სინათლეს უჩვეული თვალები და საჩქაროთ დახუჭა.

შორს, შორს გაჭიმულიეო მზის სხივებით გაკაშკაშებული მინდორი და ზედ ეხურა ლურჯი გუმბათივით გახურებული ცა... ჭხედავდა, ამჩნევდა ეველა ამას ჩვენი თხუნელა? ის მხოლოთ გრძნობდა, რაღაც სიამოვნებას, რო გორიც თავის დღეში არ უგრძვნია! ბოლოს ამოძვრა თხუნელა და გაუდგა გზას. სად მიდიოდა, თვითონაც არ იცოდა.

წენარათ ბიბინებდა მწვანე ბალახი, მოწანწკარებდა ნაკადული და მაღლიდან მოისმოდა ჩიტების ჭიკჭიკი. უცებ... ოჭ, საშინელებავ!.. მაღლის ეეფაც მოისმა!.. თხუნიას შიშისაგან გააცივ-გააცხელა და საჩქაროთ უკან გამობრუნდა, მაგრამ მაღლის მარდ ფეხებს სად გაასწრობდა! რა ნახა თავისი სისუსტე, არარაობა მძლავრი მტრის წინაშე, ის

მოიკუნტა ხის ძირას. ძაღლი ეცა და გადაუსვა მას რბილ ხავერდის მაგვარ სუკებზე კლანჭიანი თათები.

შეუჩვეველი ჭაერით და სინათლით გაბრუებულმა და მშიერმა თხუნიამ ფეხი ვეღარ მოიცვალა. ამ მდგომარეობაში მეოფიც არ ნანობდა სამშობლო კუთხის დატოვებას და არ ნატრობდა იქ დაბრუნებას, ისეთი მშვენიერება იყო მიწის ზემოთ განათლებული ცხოვრება!

ძაღლმა მიიყვანა თხუნელასთან ვასო და ამან—მთელი უბნის ბავშები!..

—

ამაოთ ემებეს ყველა ხვრელებში დიდმა თხუნელებმა ღლაპი თხუნია. ბოლოს ერთი იმათგანი წაწყდა მის გაციებულ გვამს, წაიშინა თავჩირში ხელები და მუსლები გამოითქვიფა.

— აკი გეუბნებოდით, შე თხუნელების გვარის შემარცხვენელო, ნუ ადიხარ მაღლა, თორემ დაიღუპები მეთქი!.. გოდებდა ბებერი დედა-თხუნელა, მაგრამ რაღას უშველიდა. ვერ მიმხვდარიყო ბებერი, რომ თუ დაიღუპა იმისი შვილი, იმიტომ დაიღუპა, რომ ვერ იყო ის რიგიანი მიწის ზემოთი ნადირი.

თეო კანდელაკი

(თარგმანი)

გლეხი, დათვი და მელია.

(ხალხური ზღაპარი)

ეო და არა იეო-რა, იეო ერთი გლეხი. მას ცოლის მეტი არავინა ჰყავდა.

ერხელ გლეხი ეანაში სამუშაოთ წავიდა. გზაზე ჰანტის ძირში დათვი ნახა. დათვს იმდენი ჰანტა ეჭამა, რომ იქვე ხის ძირში გორავდა და ველარ მოენელებინა... გლეხს სიცილი შესკდა, ეს რომ ნახა, დათვმა უთხრა:—არავისთან გამამხილო, თორემ შეგჭამო.

გლეხმა უპასუხა, რომ არავისთან არ გაგამხელო. როცა გლეხი შინისკენ წამოვიდა, დათვიც ადგა და ჩუმათ უკან გამოედევნა. გლეხი რომ შინ მოვიდა, დათვი სახლის უურეს ამოეტუზა და ლაპარაკს ეური დაუგდო.

გლეხი მოუვა ცოლს დათვის ამბავს. დათვმა ეველაფერი გაიგონა და გამობრუნდა. წავიდა და იმ გლეხის ეანაში ჩაწვა.

მეორე დღეს გლეხი ისევ წავიდა ეანაში სამუშაოთ. იქ დაწოლილი დათვი რომ დაინახა, შეშინდა. წამოდგა დათვი და შესძახა:



«ადრე გამოხნავ,
ადრე გამოგხრავ;
გვიან გამოხნავ,
გვიან გამოგხრავო!»

გლესი შეშინდა. გამოვიდა გზაზე და დაღონებული დაჯდა. შუა-დღეზე ცოლმა სადილი მოუტანა: ერთი კარგად შემწვარი დედალი, სამი ხაჭაპური და ერთი ბოთლი ღვინო. გლესმა უთხრა ცოლს: — რა მესადილება, ქალო, დათვი ყანაში ჩაწოლილა და ასე მეუბნება:

«ადრე გამოხნავ,
ადრე გამოგხრავ;
გვიან გამოხნავ;
გვიან გამოგხრავო!»

ცოლმა უთხრა: შენ რა დაეშავე მაგისი ფასიო?

— წუხელი რომ ამბები გითხარ, იმისთვის მექადნებაო. ამ დროს სად იყო და სად არა, გაჩნდა მელია. გლესი რომ შეწუხებული ნახა, ჰკითხა: — რამ დაგაღონაო?

— როგორ რამ დამაღონა! აგერ ყანაში დათვი წევს და შეჭმას მპირდებაო.

მაშინ მელამ უთხრა: — თუ მაგ ქათამს და ხაჭაპურებს მე მაჭმევ, გიშველიო.

გლესმა მიუგო: — ოღონდ-კი მიშველე და ღვინოც შენი ფეშქაში იყოსო.

დაჯდა მელია და შეექცა გემრიელს საჭმელს. როცა გაათავა, გლეხს უთხრა: შენ წადი და დათვის ახლო დაიწეე ხვნა; მე გავალ ჰატარა სერზე და იქიდან დაგიმახებო; შენ-კი მაგიერი ჰასუხი გამეციო.

გლეხმა ხვნა დაიწყო; მელია გორაზე გავიდა და იქიდან გადმოიძახა:

— კაცო, შენ, ჰეი!

— რა იყო, რა?

— სამი წლის დათვის კვალი ხომ არ გინახავსო? ხელმწიფე მოდის თავისი ჯარით და მისი ნახვა უნდაო.

დათვი შეეხვეწა გლეხს: არ მინახავსო, ასე უთხარიო.

— არა არ მინახავს.

— მაშ ეგ რა არის?

გლეხი დაეკითხა დათვს: რა ვუპასუხოვო?

დათვმა უთხრა: ჯირკიაო.

— ეს ჯირკია, ჯირკი.

— თუ ჯირკია, ურემზე დაუდევი.

დათვი შეგორდა ურემზე.

«მელიამ გადმოსძახა: აბა დააკარი ჯირკი ურემზედაო.

გლეხმა დათვი ურემზე თოკით დააკრა.

«მელიამ დაიძახა: აბა უცულდისუეო!

გლეხმა დასცხო ცულდი დათვს და მოკლა. მელიამ და გლეხმა ბევრი იცინეს. გლეხმა დათვის ხორცი — ხორცათ გაჭრიდა, ქონი — ქონათ მოისმარა და ტყავი — ტყავათ.

ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა;
მთქმელსა და გამგონებელსა
თითო სტაქანი ყველასა.

—

ჭირი იქა,
ლხინი აქა;
ქატო იქა,
ფქვილი აქა.

ჩაწერილი ს. დათეშიძის-მიერ.

გ ა მ ო ც ა ნ ა.

(წაჩმოდგენილი გრიგოლ ჩხეიძისაგან).

დროითა ეთესავ, დროითა ეკრიფავ;
თითონ მაძლარი სხვასაცა ეკვებავ.

—

თითონ ძლივს სჩანს—ხმა-კი ისმის.

—

ა კ რ ო ს ტ ი ხ ი.

(წარმოდგენილი გიორგი ანაშიძისაგან).

საუკეთესო რამ არის, ყოველს ქონებას სჯობია,
წინა სწევს კაცის ცხოვრებას, აჩვენებს რაც რამ მჯობია;
არ შეუძლია არავის ის შეისყიდოს ფულითა,
ვისმე მოსტაცოს ძალითა, ქურდობით, ეშმაკობითა;
ლამაზი არის მიიღებს, თუ გინდ რომ იყოს კოჭლი, ბრმა,
არცა ძნელია, შეიძენს მსურველი, მეცადინე ყრმა.

მიხვედრილი ბავში.

(წარმოდგენილი ბიძიასაგან).

კიკო და ნუცა ახალ მთვარეს შესცქერიან.

კიკო.—რამდენი მთვარეა ცაში?
ნუცა.—ვერა ხედავ, ერთი!
კიკო.—ყოველ თვე რომ ახალ-ახალი იბადება?
ნუცა.—რა ვუყოთ-რა! მაინც ერთია.
კიკო.—ძველებს რაღას უშვრებიან?
ნუცა.—ძველებსა?.. არ ვიცი ..
კიკო.—მე კი ვიცი... ამტვრევენ და ვარსკვლავებს აკეთებენ.

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილისაგან)

პირველ ორ ასოს ქალები
გაკვირვების დროს ხმარობენ,

მეორით შემოდგომაზე
მემამულენი ხარობენ;
მთელი ხალხია პურადი,
ძველის დროდანვე გვარობენ.

ა მ ო ც ა ნ ა.

პატარა ლიზიკოს დღეობაზე შვიდი ამხანაგი ეწვია. ბავშებმა ჯერ ბევრი ითამაშეს და შემდეგ ლიზიკომ შვიდივე სადილზე მიიწვია. მოიტანეს დიდი ქადა, რომელიც საკუთრათ ლიზიკოსათვის იყო გამომცხვარი. აიღო ლიზიკომ დანა, სამჯერ გაჭრით ქადა რვა ნაჭრათ აქცია და თითო თითოთ დაურიგა ამხანახებს.

რანაირათ გასჭრა სამჯერ რვა ნაჭრათ?

№ I „ჯეჯილის“ გამოცანებისა.

გამოცანები: 1) ვარდი, 2) საათი.

შარადა: კალამი.

სახუმარო ამოცანა: III ხაზს მიუმატოთ წინიდან ორი ხაზი V და გამოვა VIII.

მეორით შემოდგომაზე
მემამულენი ხარობენ;
მთელი ხალხია პურადი,
ძველის დროდანვე გვარობენ.

ა მ ო ც ა ნ ა.

პატარა ლიზიკოს დღეობაზე შვიდი ამხანაგი ეწვია. ბავშებმა ჯერ ბევრი ითამაშეს და შემდეგ ლიზიკომ შვიდივე სადილზე მიიწვია. მოიტანეს დიდი ქადა, რომელიც საკუთრათ ლიზიკოსათვის იყო გამომცხვარი. აიღო ლიზიკომ დანა, სამჯერ გაჭრით ქადა რვა ნაჭრათ აქცია და თითო თითოთ დაურიგა ამხანახებს.

რანაირათ გასჭრა სამჯერ რვა ნაჭრათ?

№ I „ჯეჯილის“ გამოცანებისა.

გამოცანები: 1) ვარდი, 2) საათი.

შარადა: კალამი.

სახუმარო ამოცანა: III ხაზს მიუმატოთ წინიდან ორი ხაზი V და გამოვა VIII.



ზამთარი.

ენ, ქარ-ბუქო, ნუ კაპასობ...
შენ ეჰი, სუსხო, დასცხრი, კმარა;
თქვენ მოჭამეთ თქვენი დღენი,
თქვენმა დრომ აწ გაიარა.

—

მალე ნახავთ სამხრეთიდან
მოფრინდება წეროს ჯარი...
და ქვეყანას შემოესმის
ხმა ციური გასახარი.

—

მზე თვის სხივებს, დამათბობელს,
მიმოაფრქვევს ძირს სამყაროს
და ასხურებს მას ალერსით
სიყვარულის ტკბილსა წყაროს.

—

ძირს მინდორი მოირთვება
მწვანით, ვარდთა, კეკლუც რხევით;
მყუდრო ტყეცა გაიღვიძებს
და ბანს მისცემს ტოტთა ქნევით.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვანე ხავერდს დაამგზავსებს
მოსავალი მინდორს, ყანას
და ტოროლა თავის ჭიკჭიკს
ძღვნათ მიართმევს ცას, ქვეყანას.

—

ძველს მეგობარს—ხარს—მთესველიც
გამოაბამს ისევ კაესა,
იმედითა და ნუგეშით
კელავ გაჰყვება ძვირფას კვალსა.

—

გაგვეცალე, ქარიშხალო!
წა, იტირე დრო წასული,
სამხრეთიდან სიოს მოაქვს
სანეტარო გაზაფხული!

ქარი.



ალმასი.

(ემილ დეშანისა)

ყო ერთი კაცი და ჰყავდა სამი ვაჟი. ერთხელ იხმო სამივე შვილი და უთხრა: ჩემი სარჩო-საბადებელი სამ წილათ გავყავ... სიკვდილის შვილი ვარ... ვიდრე მოვკვდებოდე, მწადია, ყველაფერი გავარიგო, ხოლო თქვენ შუღლი აგაცილოთ, თორემ სულ ცოტაოდენი სამკვიდროც-კი წაჰკიდებს ძმებს ერთმანერთსაო.

— „მაგრამ ერთი საგვარეულო თვალი მაქვს კიდევ და ის-კი ვეღარ გავყავ. ის თვალი ძვირფასი ალმასია! ღმერთს რომ ქალიშვილის ღირსი გაევხადე, მისი საგანძურის დამამშვენებელი იქნებოდა. ღმერთმა არ ინება და არც გაუდგები, დაილოცა მისი სახელი! ეს თვალიც მისი იქნეს, ვინც თქვენგანმა საუკეთესო ამბავი გამაგონოს ერთი წლის დამლევს, ოდეს დადგეს დღე იგი დიდებულიო“.

დანიშნულ დღეს, მოხუცის მამის კერას სამნივე ძმანი შემოსხდომოდენ. მათ თვალებში ადამიანი ამოიკითხავდა, იმედი მაქვსო. მოჰყვენენ სათითაოდ.

პირველმა თქვა:—მდიდარი მწირი ვინმე შემხვდა გზაში და ერთი ქისა ოქრო მომაბარა, ბარათი-კი არ ჩამ.ამართვაო. ის კაცი მოკვდა. რაკი საბუთი არ ჰქონდათ, ადვილათ შევირჩენდი... მაგრამ ის ქისა ოქრო მის ქვრივსაევე ჩავაბარეო.

მამამ უთხრა:—კარგი საქმე გიქნია, მაგრამ, შვილო, ეგ ხომ მოვალეობით მოგსელია; სხვისი ქონების შერჩენას უპატიოსნო ადამიანი თუ იკადრებსო.

მეორემ თქვა:—ერთხელ დიდი ტბის პირათ დავდიოდი. ვნახე, ყმაწვილი იხრჩობოდა. ელვის უმალ გადავეარდი, გამოვიყვანე და სიკვდილს გადავარჩინეო.

— შენი საქმეც, შვილო, საქებარია აგრეთვეო, უთხრა მამამ,— მაგრამ მაგ საქმით ხომ ის აასრულე, რაც მაცხოვარმა მოციქულებს ამცნო, ყოველ გაჭირვებაში ეხმარებოდეთ ერთმანერთსაო.

უკანასკნელმა თქვა:—ერთხელ ჩემი მტერი ვნახე, ხრამის ნაპირად ჩასძინებოდა. ცოტა რომ განძრეულიყო, უფსკრულში ჩავარდებოდა. დავიხსენი, თუმცა შესაძლო იყო, მოვეკალიო.

— ძვირფასო შვილო, უთხრა მამამ,—მოდი მოგეხვიო და შენი ხელი მომე, რადგანაც ეს ბეჭედი შენ გეკუთვნისო. ჩვენი მტრისთვის სამსახური დიდი ქველობაა, ბოროტის წილ კეთილი, თვით ღვთისადმი მიბაძვა არისო.

ჯდანსი.

(ფრანგ. ნათარგმნი)

ხევსური წიქა.



ბატარა მთის არწივს ეძახდენ ხევსურები წიქას და ტყუილიც არ იყო. ისეთ ცოცხალს, მალხაზს, გულად ბაეშს ძნელათ თუ შეხვდებოდით ბარში. გააჭყეტდა თუ არა თვალებს ფიცხლავ მიატოვებდა ტახტს, სადაც იგი დედიშობილა, დურა წახურული, ჩალაში იწვა ჩათბუნებული. გადიცვამდა თავის დის მოქსოვილ ტალავარს [1]: პერანგს, ჩოხას, შარვალს, სხვა და-სხვაფერ მძივებით დაჭრელებულს, ამოიცვამდა ფეხებზე პაჭიჭებს და ჰტყელ თათებს—ტყავ-გამოკრულებს და მძივებითვე დაჭრელებულს, შემოიკრავდა ქამარ-ხანჯალ—დაშნას [2]), წამოიდებდა თავზე მძივებითვე დაჭრელებულ ნაბდის ქუდს ან ტყავისას, მოსძებნიდა თავის შვილდ-ისარს და მთის მწვერვალიდან დაეშვებოდა ძირს დაქანებულ თეთრ-ზოლიან ბილიკზე და ისე მისრიალებდა ვით მთის არწივი ცის კამარაში მსხვერპლის კლანჭის გასაყრელათ. წიქა მიფრინავდა სანადიროთ და დაინახავდა თუ არა ხეზე ან სალ-კლდეზე წამოსკუპებულ მთის ჩიტებს მლიას ან შურთხს, ტკბილათ

---

[1]) ტანისამოსს

[2]) სწორე პირიანი ხმალი.

მოჭუკჭუკეს, ფეხ-აკრეფით მიეპარებოდა, ამოეფარებოდა ჩირგეს ან რომელიმე ჭიუხს [3]), მოიმარჯვებდა შვილდ-ისარს, მოხუჭავდა ცალთვალს, მოსწვედა თავისაკენ ისარს, გაუშვებდა მერე ზუზუნით ჰაერში და მზათ გახლდათ, საბრალო ფრინველს ძირს ზღართა გახდებოდა და რომელიმე ასო მომტვრეული, ფრთებ-გაშლილი დიდ

წიქა შვილდ-ისრით.

[3]) ველის ნაპრალი.

ხანს ფართხალობდა და კუტ-კაცსავით თითქოს შველას, ხელის გაწოდებას თხოულობსო, ისე საცოდავათ დახოხავდა. წიქა ბევრს აღარ აცლიდა და ხელათ თავს წააწყვეტდა ხოლმე თავის უდანაშაულო მსხვერპლს.

პატარა მონადირე მალე დახელოვნდა. ხშირმა ვარჯიშობამ, რასაკვირველია, კარგათ შეასწავლეს წიქას მიზნის აღება ისე, რომ ძნელათ გადურჩებოდა მის მომარჯვებულ ისარს მიზანში სამსხვერპლოთ ამოღებული ნადირი. ნადირობის შემდეგ წიქა დაასვენებდა შვილდ-ისარს, ცოტას შენაყრდებოდა და ახლა თავის ფარ-ხმალს მოსძებნიდა, რომ ეფარიკავნა თავისავით პატარა მთის არწივებთან. გადმოდგებოდა მართლაც არწივის ბუდესავით მთის მწვერვალზე მიკრულ თავიანთ სახლის ბანიდან და შესძახებდა უფრო მაღლა ბუდესავით სალ-კლდეზე მიკრობილს სახლში თავის ამხანაგს:

— ჰა გიგია, წამეედ, ვაჟავ, ფარ წამაილ, წამეედ!

გიგიაც პასუხათ ჩამოსძახებდა ზევით სოფლიდან.

— ეხლავ, ეხლავო. და უცებ გიგია ხელათ იქ გაჩნდებოდა. მოიტანდა ხის ქერქისაგან გაკეთებულ ფარს, შუაგულში თოკ-გაყრილს ხელის გასაყრელათ. მოიმარჯვებდა ცალ ხელში ხის ხმალს, მეორე ხელში დაიჭერდა ფარს, ისე-კი რომ ორივე ხელი ერთათ მიკრობილი უნდა ჰქონოდა, არ მოეშორებინა ერთი მეორისაგან. წიქაც ამნაირათვე მოეწყობოდა და დაიწყებდენ კეჭნაობას ანუ ფარიკაობას.

პატარა მთის არწივები მარჯვეთ ატრიალებდენ ხის ხმლებს. ხან ცალ ფეხზე წაიჩოქებდენ, ტანში მოხრილები, თვალი-თვალ გაყრილნი ერთმანეთს გაფაციცებული ხელებში შეჰყურებდენ, რომ კეჭნაობის წესი არ დაერღვია რომელიმე მათგანს ე. ი. შეკუმშილი ხელები ერთმანეთისათვის არ დაეცილებინა. წიქა არ უსვენებდა გიგიას, არ აცლიდა მოფიქრება-მოსაზრებას, ხან აქეთა მხრიდან, ხან იქითიდან უვლიდა და ხან ძირიდან ულერებდა ხმალს, მაგრამ ამაოდ, გიგიაც მარჯვეთ იგერებდა წიქას მოტანილ იერიშს. აი წიქამ ერთბაშათ დაიჩოქა და ხმალი გიგიას გულში დაუმიზნა, გიგიამ თვალი

დროზე მართალია შეასწრო და მოიგერა, მაგრამ წესი-კი დაარღვია, ხელი-ხელს დააშორა. წიქამ დაინახა რა წესის დამრღვევი მოკამათე, ხმალი ხელში დაჰკრა და გააგდებინა ხელიდან. გიგიას შერცხვა, მაგრამ წიქამ მამაც მებრძოლს გადაჰკოცნა და ისევ ძმებათ დარჩენ...

ამნაირათ ატარებდა დროს წიქა, მაგრამ ყველას თავისი დრო აქვს; ზაფხულს ზამთარი მოსდევს, ცელქობას შრომა. მოახლოვდა

ჭეშნაობა ანუ ფარიკაობა.

დრო წიქას სკოლაში მიცემისაც. იგი სულ 4—5 წლის ბალღი იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა. დარჩნენ ობლათ წიქა, მისი 11—12 წლის ძმა და სამი და დედის სინაბარა. მათზე მზრუნველობა და პატრონობა იკისრა მისმა ბიძა გოგოთურმა, რომელსაც გადაჭარბებით უყვარდა თავისი ობოლი ძმისწულები და თავის შვილებში არ არჩევდა.

ერთ შემოდგომის დილა'ს, როცა ხევსურეთში კალოობა გათავდა, და თოველის ზვავებმა ამოახრჩვეს ღულის ჭალა და შუილ-ხუილით მომდინარე არაგვს ხმა ჩააწყვეტინეს, გოგოთური შეეკითხა წიქას, როგორც ვაჟკაცს:

— წიქავ, არ გწადის სკოლაში წასვლა? ახალ მასწავლებელმ მითხრ წიქას ჩამაიყვანიდიო, ქაღალდ [4]) იკითხიდაო.

— რაი, აბა, უპასუხა წიქამ.

— წამეედ ჩავიაროთ, უთხრა გოგოთურმა. წიქაც გამოეწყო თავის ტალავარში, ჩაჯდა იარაღში და პატარა არწივის ბღარტსავით ფეხ-და-ფეხ წაჰყვა ბებერ მთის არწივს—გოგოთურს. სკოლის შენობა მართალია ახლოს მოსჩანდა, მაგრამ მაინც მთელი მთა ჰქონდათ ჩასავლელი. ეს მთაც მალე ჩაიარეს და სკოლი'ს შენობაში გაჩნდენ. წიქას ბეერჯელ აუელ-ჩაუელია ამ სკოლის წინ, როცა ან სანადიროთ მიდიოდა ლიქოკის ჭალისკენ, ან საქონლისათვის ნეკერის სამტვრევათ, ან საფქვავზე წისქვილში, მაგრამ შიგ სკოლაში არასდროს არ შესულა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნახირიდან გამორეკილი საქონელი სკოლის ეზოში შეუვარდებოდა და მის გამოსარეკათ უკან შეჰყვებოდა, თუ არა და სკოლისა იმან არა იცოდა რა.

მასწავლებელმა წიქა და იმისი ბიძა სახლში მიიწვია და თხოვა დამსხდარიყვენ სკამებზე. გოგოთურმა მძიმეთ, დარბაისლურათ დაუწყო ლაპარაკი მასწავლებელს და უთხრა:

---

[4]) წიგნს.

— აი მოგიყვან ეს ბალღ. ეხლა შენ იც, როგორც უპატრონებ. ამან ის არ იცის როგორ მიიქც-მოიქცეს. შენ ხარ ამის მამაც, დედაც, ძმაც. ნუ გაუშვებ ზოგ ერთ ანც, გადარეულ ბალღთან იბღლაძუნოს, იჭიდილოს. სციდი [5]) თუ არ გაგიგონოს.

წიქა თავის მაყვალსავით შავ თვალებს არ ასვენებდა, ერთი საგნიდან მეორეზე აცქერდებოდა, მეორიდან მესამეზე. ყველაფერს მუშტრის თვალით სჩხრეკდა, ეძიებდა, თითქო სურდა ყველა საგნის საიდუმლოება გაეგო, რასაც-კი მასწავლებლის სახლში ხედავდა, სარკეს, ან სავარცხელს, ან ტანისამოსისა და საანგარიშო ჩოტკს, ან კაკარდიან ქუდს მასწავლებლისას, ან თვით მასწავლებლის ქალაქურ ჩაცმულობას და სხვა ბევრ ამნაირ ნივთებს, რომელსაც წიქას ჭკვიანურათ გამომეტყველი თვალები ჯერ პირველათ ხედავდენ. მასწავლებელმა მოხვია ხელი წიქას და მოუალერსა.

— რა გქვიან? შეეკითხა მასწავლებელი.

— წიქა.

— შენი გვარი?

— ჭინჭარაული.

— მამაშენს რა ჰქვიან?

— მამა არ მყავის.

— ხომ გყავდა?

— მყავდა.

— რა ერქვა?

— ბაბო.

— რა ჰქვიან დედაშენს?

— მზევინარი.

— რამდენი ძმა გყავს?

— ერთი, გიგიაი.

— დები გყავს?

---

5) სტემდიო.

— მყავს, იათამზე, ძილა, სანდო.

— საქონელი გყავთ?

— გვყავის, ფურებ, ხარებ.

— ვინ უვლის იმათ?

— მე დ, [6]) გიგია, გოგოთური.

— ვინ არის ეგ გოგოთური.

— ჩემ ბიძა ასა, აი ეს. და მიუთითა ბიძაზე.

— შენ სოფელს რა ჰქვიან?

— ბარისახო.

— ეხლა შენ სად მოსულხარ?

— სკოლაში.

— რისთვის?

— აი გოგოთურმა წამამიყვან ქალალდს გასწავლიანო.

— გინდა ქალალდის სწავლა?

— მინდ.

წიქამ რომ შეატყო მასწავლებელი ტკბილი კილოთი მელაპარაკებაო, უფრო თამამათ დაუწყო თვალებში ცქერა და უფრო ენა ამოიდგა.

— აქ რომ ქალალდს ისწავლი ქალაქში არ წამოხვალ? ჰკითხა მასწავლებელმა.

— არ მწადის.

— რატომ?!

— შავსწუხდები, ვერ გაძლებ იქ.

— რაზე შესწუხდები?

— შავსწუხდები ჯალაფთაკე, სოფლისაკე.

— მაშ შენი ძმა რათ მოდის?

— წამოვიდეს, ჩემის ძმის ნებაა, თუ წამოვას.

— თუ ის არ შესწუხდება შენ რათ შესწუხდები?

---

[6]) დ. ამ კაკუშიჩს ამოკლებენ დს მაგიერათ დ-ს იძახიან.

— რა ვი აბა!

— რათ იძახიან ქალაქში ცუდია ყოფნაო?

— კარგ გამიგონავ, მაგრამ ხევსურეთში მირჩევნან მე, ხევსურეთში!

— რა არის აბა აქ კარგი! კლდეების და თოვლის ზვავების მეტს რას ხედავ!

— კარგია აქ, ყველას შაჩვეული ვართ, თოვლსაც, კლდესაც.

— ქალაქსაც შეეჩვევი.

— ვერ შაეჩვევი იქ.

— რატომ კაცო, საიდან იცი?

— იქიდან ვიც რო ვერ შეეჩვევი. არვინ იქნების იქ ხევსურ კაცი, ხევსურ ხალხში დაჩვეული იქ ვერ გაეძლებთ, ქართველებში.

— თქვენ ვინა ხართ? თქვენ-კი ქართველები არა ხართ?

— ქართველები ვართ ჩვენაც, ხევსურებს გვეძახიან.

— მოდი ცოტა ხნით წამოდი მაინც.

— არც ცოტა ხნით წამოვალ, ვერ მომითმობენ ჯალაფნი, თითონაც შასწუხდებიან...

სკოლის ზარი დარეკეს. უკანასკნელი გაკვეთილი უნდა დაეწყოთ. გალობის გაკვეთილი იყო. მასწავლებელმა პატარა მთის მოუხეშავ არწივს ხელი ჩააკლო და წაიყვანა საკლასო ოთახისკენ, უკან გოგოთური მისდევდა. საკლასო ოთახი გამოჭედილი იყო პატარა მთის არწივებითვე, რომელნიც ცოტათი უფრო გაწვრთნილებათ მოსჩანდენ ვიდრე წიქა, რომელმაც არ იცოდა სად როგორ უნდა დამჯდარიყო და ვისთვის რანაირი პასუხი გაეცა. წიქა მართალია ცოტათი შეკრთა, მაგრამ მალე ტანში გასწორდა, როცა დაინახა თავისავით დაჭრელებულ მძივებით ტალავარში გამოწყობილი და იარაღში ჩამსხდარი ამხანაგები, გელიკა, აპარეკა, თოთია, ვეფხვია, გიგია, სამუკა, თორღვა, ხთისია, მამუკა, ჩალხია, ბერდია, ბიძურა, ბაღათერა, შალვა, გიორგი, გამახელა, საგია, უნცრუა, თათარა, ლევანა, ნაოგურა, ბეწიკა, თომა; არაბულები, ქეთელაურები,

ჭინჭარაულები, მინდიკაურები, წიკლაურები, ქერაულები, ლიქოკელები, ხახონაურები, გოგოჭურები და გიგაურები.

— წიქავ, ძმობილო, ჩემთან, ჩემთან მეედ, დაბალის კილოთი ეუბნებოდენ წიქას და თავის გვერდით იწვეედენ დასაჯდომათ, მაგრამ მასწავლებელმა მიიყვანა და პირველ რიგის გრძელ ხის სკამზე ჩამოსვა. წიქა ისეთნაირათ ჩამოჯდა, რომ მოწაფეებს ყველას ხედავდა. მოწაფეებიც ხედავდენ და ზოგი თვალით რაღაცას ანიშნებდა, ზოგი ხელებით და ტანის მოძრაობით, ბოლოს გვერდით მჯდომმა, ახლათ ჩამოყვანილმა მოწაფემ, მინდია გიგაურმა, რაღაცა უჩურჩულა ყურში და წიქაც გასწორდა, პირი მოიბრუნა, ხელები სტოლზე დააწყო და ზურგი უკანა მაგიდის თავს მიაბჯინა. მასწავლებელმა ყველა მოწაფეს ერთი ხმა ააღებინა და ლექსი „თამარ მეფე და ხონთქარი“ ამღერა. ამ ლექსისაევე კილოზე ახლა ხევსურეთში დარჩენილი ლექსი ამღერა. პატარა ხევსურებმა უფრო გულიანათ და კილოიანათ შემოსძახეს:

აგერ კარავში ერეკლეს — ერეკლეს,
ომ შემდეგ მოუსვენია — სვენია,
სძინავს მოქანცულს ბატონსა — ბატონსა,
თავით უნაგირ ბჯენია — ბჯენია;
მისი მერანი ჭიხვინებს — ჭიხვინებს;
და შინა ყმანი კახისა — კახისა,
მის ხმალს სისხლიანს ჰფერაევენ — ჰფერაევენ.

გათავდა გაკვეთილიც და პატარა ხევსურები დაიშალენ, წიგნებით სავსე ხბოს გუდები ზურგზე მოიკიდეს და შეუდგენ თვალუწვდენელ მთის კალთებს, სადაც შავათ, ერთი მეორეზე მიყრილი, კლდეზე მიკრული ხევსურების სახლები მოსჩანდა სწორე ბანებით, თივის და ჩალის ძირებით დატვირთულნი. წიქაც მასწავლებელმა ბიძას გაატანა სახლში და უთხრა მეორე დილისათვის ჩამოეყვანა ისევ სასწავლებლათ.

მეორე დილას სკოლაში ყველაზე ადრე მოვიდა წიქა გუდა

წამოკიდებული და შვილ-ისრით ხელში. ის მასწავლებელმა თავის ოთახში შეიყვანა და ჩაი დაუდგა დასალევათ. წიქამ არ იცოდა როგორ მოეარნა ამ ჩაისთვის. შაქარი ჯერ არ გამდნარიყო ჭიქის ძირას და წიქამ კოვზი ჩაჰყო, ამოიღო შაქრის ნაჭერი და წუწნა დაუწყო. მასწავლებელმა ასწავლა, რომ ეგრე-კი არა, უნდა გაადნო შაქარიო და ისე დალიო, თორემ კბილები მალე გაგიფუჭდებაო.

ხევსურის ბალღები ამ დროს თანდათან გროვდებოდენ სკოლაში და ერთი ხმაურობა და სიცოცხლე შემოჰქონდათ სალ-კლდეებ შორის დატყვევებულ ბარისახოს სკოლის დარბაზში; ზოგი კითხულობდა ხმა-მაღლა გაკვეთილს დედაენიდან, ბუნების კარიდან მასწავლებლისგან მიცემულ მოთხრობებს და ლექსებს. ზოგი რუსულ ენაზე ნასწავლ საგნების სახელებზე იტეხავდა ენას, ზოგი შვილდ-ისრებით ხელში სკოლის გარშემო ჩარგულ ხეხილებს გარს უვლიდენ და ფრინველს ათვალიერებდენ. ზოგი ჭიდაობდენ, ზოგი წეროობას თამაშობდენ, ზოგი ბუხართან მიჯგუფებულიყვენ და ერთი ბიჭის ლაპარაკს ყურს უგდებდენ. წიქა ჯერ ისევ მასწავლებლის ოთახში იჯდა, რომ ორმა ხევსურის ბიჭმა კარი შემოაღეს და სახე ალეწილები შემოვიდენ. ერთი მეორეს ლაპარაკს აღარ აცლიდა. უკან რამდენიმე ხევსურის ბიჭიც შამოჰყვა.

— რა იყო, რა ამბავია, ეაქნო? ჰკითხა მასწავლებელმა.

— მასწავლებელო, აი ამან (უთითებს მეორეზე—ბეწიკა არაბულზე) სარკე [7]) გატეხ. მე შეშას ვჭრიდ, გარეთ ვიყავ.

— ჰოო ბეწიკავ, შენ გატეხე?

— მე, მასწავლებელო, არ გამიტეხნია. აი ემან (უთითებს პირველზე, დამბეზღებელ გიორგი წიკლაურზე) დაჰკრა ჯიღი [8]), აი ცოტათ გატყდ, ისე არ დააჩნდ. გიგიაიც მხედავდ, მე არ გამიტეხავის.

— გიორგი, მაშ შენ გატეხე ეაქო?

---

[7]) ფანჯრის შუშა.

[8]) მუშტი.

— არა, მასწავლებელო, ვიწერაოთაო, ერთმანეთს ეუბნებოდეს, მემრ მე იქისკენ მქო [1]) თავ, გაბმულ ბალღებს გაეხედავდი კარჩი. მემრ წკერან [2]) იქნეს და მაგრათ ჩქამ [3]) გამოვიდეს, მემრე ამანაც მითხრა თავ შემოჰკარიო, მე თავით იქოდან როგორ შამოვსწედეგ-ბოდი.

— გიგიავ, ბეწიკას შენ მოჰყევხარ მოწმეთ, აბა რას იტყვი.

— მასწავლებელო, აი გარეთ ვიყვენით ჩვენ სრუყველა, თან ეს ვეფხვია დათვისელიც გვეტანა [4]). ეს ბეწიკა შიგით იყვ და ხელს უსომდის მიჭვრიტას [5]), სწერავდის ზედ რაცხაებს, მემრ ის წკიპარტი ჭკრა, შუშას წკრიალნ იქნეს. მემრ ბეწიკა გადიხაფრა [6]) იმაში აღარ იბადებოდეს [7]).

ესეთივე ჩვენება მისცა ბიძურა არაბულმა და ვეფხვია ლიქოკელმა. ბეწიკა არ მოელოდა, თუ გიგიაც ულალატებდა, მაგრამ გიგიამ ტყუილის თქმა ვერ გაბედა რომ სხვისთვის დაებრალებინა, სწორე და მართალი ყმაწვილი იყო. ბეწიკა ამისათვის აწითლდა, არ მოელოდა, რომ ტყუილში დაიჭერდენ, ასე საქვეყნოთ, ამხანაგების თანადასწრებით. თვალებში ცრემლები აუგორდა და სახე სატირლათ მოეღუშა. მასწავლებელმა აპატია ბეწიკას ეს ტყუილი და უთხრა: —ეგეც კმარა რომ იმდენ ამხანაგებში შენმა სინიდისმა დაგსაჯა და შეგრცხვა, მე აღარაფერს არ გეტყვი, წადი და მეორეთ ვიცი აღარ გადააბრალებ შენ ჩადენილ დანაშაულს სხვასაო.

ზარის ხმა გაისმა; ენიშნათ პატარა ხევსურებს ზარის მნიშვნელობა და საკლასო ოთახში შეჯგუფდენ. მასწავლებელმა წიქაც შეიყვანა საკლასო ოთახში, მიუჩინა თავისი ადგილი, ასწავლა როგორ უნდა მჯდარიყო და სანამ სხვა მოწაფეებთან მეცადინეობას დაიწყებდა წიქას უთხრა მოეფიქრა სად იმყოფებოდა იმ დროს წიქა და რას ხედავდა თავის გარშემო. სხვა მოწაფეებთან, რომ საქმეს მორჩა მა-

---

[1]) მქონდა. [2]) ჭასა-ჭუხი. [3]) ხმა. [4]) თან გვყვანდა. [5]) შუშას. [6]) გადიკარგა. [7]) იმყოფებოდა.

სწავლებელი ახლა წიქას მიუბრუნდა და პასუხი მოსთხოვა, თუ სად იმყოფებოდა და რას ხედავდა; წიქამ უპასუხა, რომ მე სკოლაში ვარო. საგნების ჩამოთვლის დროს-კი წიქა ზოგიერთ საგნის სახელებს თავიანთებურად, ხევსურულათ ამბობდა, მაგალითათ: წიგნს—გუჯარს ეძახდა, სკამს—ჩიკას, კატას—ციცას, ფანჯარას—მიჭვრიტას, შუშას—სარკეს; პირველი გაკვეთილი გათავდა. სანამ მეორე დაიწყებოდა წიქა თავის ამხანაგებმა წაიყვანეს ეზოში სათამაშოთ. ხან წეროობას თამაშობდენ, ხან შვილდ-ისარს აძლევდენ და ისიც სიხარულით უმიზნებდა აქა-იქ. წიქა მალე შეეჩვია სკოლის კარმიდამოს. მეორე და მესამე გაკვეთილს შემდეგ თითონ იპატიჟებდა ამხანაგებს სათამაშოთ. გაკვეთილების შემდეგაც პირველი მიუძღოდა ყიჟინით ბალღებს.

გავიდა რამდენიმე თვე. წიქამ ბევრი რამ გაიგო სკოლაში. გაიგო სწავლის ფასი და სულით და გულით დეეწაფა მას. წიქა უბრალოთ დროს აღარ ჰკარგავდა. თუ ხანდისხან მას სკოლაში არ გაგზავნიდენ და საქონელს გააყოლებდენ გუდით მაინც წიგნები თან მიჰქონდა და იქ მინდორში კითხულობდა და იგებდა ბევრ კაი რამეებს. ძალიან გავლენა ჰქონდა მაზე წიგნების კითხვას. ერთი მოთხრობის წაკითხვის შემდეგ, რომელშიაც ფრინველების შებრალების ამბავი იყო გამოყვანილი, წიქამ ფრინველების ჭლეტაზე ხელი აიღო. მეორე მოთხრობის წაკითხვის შემდეგ, რომელშიაც სიმართლის მოყვარულ კაცის ამბავი იყო გამოყვანილი, წიქამ სიმართლე შეიყვარა. მესამე მოთხრობამ წიქას მ'მობლების პატივისცემა ასწავლა, ზოგმა ლექსმა მამულის სიყვარული ჩაუთესა გულში, ზოგმა ლექსმა თავის ქვეყნის ბუნების სიმდიდრე დაანახვეს და გაუქრობელი ცეცხლი აანთეს მის გულში სწავლისა. წიქა ძლიერ მიეჩვია წიგნების კითხვას. ბარისახოს სკოლაში წიქამ სულ სამ ზამთარს იარა და სწავლა საუკეთესოთ გაათავა. მასწავლებელმა წიქას ქალაქში წაყვანა განიზრახა და გაურიგა „კიდეც ერთ სასწავლებელში მიღება, მაგრამ მ'მობლებმა არ გაუშვეს. მეტადრე მისი ბიძა გოგოთური იდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გა უარზე. წიქა ვერც უარს ამბობდა ქალაქში წასვლაზე და ვერც თანხმობას აცხადებდა, რადგან ბიძისა და დედისა ეხათრებოდა. დარჩა წიქა ამ რიგათ ისევ თავის საყვარელ ხევსურეთში. რასაკვირველია დავაქკაცდა და ბიძა გოგოთურს მხარში ამოუდგა. ყველა სასოფლო საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა და სადაც-კი შეხვდებოდა ყველას სწავლის სიკეთეზე ებაასებოდა. ავალებდა სკოლაში მიეცათ თავიანთი შვილები, ყრილობაზე სკოლის მომხრე იყო და ვინც-კი სკოლაზე ცუდ რამეს წამოისროდა ამოღებულ ხმალსაევით პირში ედგა. სკოლასთანაც წიქა კავშირს არა სწყვეტდა. ხშირათ მიუღია მასწავლებელს მისგან ამნაირ შინაარსის წერილი: „მასწავლებელო, გთხოვ რო საკითხათ ერთი პატარა წიგნი გამომიგზავნო. არ გავაფუჭებ და არც გაეჭუჭყნი, თუ გამოგზავნი კოტეს (თავის ბიძაშვილს) გამოატანე. 1901 წელსა გიორგობისთვის 28 დღესა. წიქა ჭინჭარაული“.

დ. ბაგლიაშვილი.



კასტანგ მეხუთე მეფის დარბაზობა.

1673 წელს მოვიდა ქალაქს ერთი უცნაური ფრანგი და ჩამოხტა მამა კაპუჩინებთან, ფრანგების ქუჩაში, საცა ახლა კათოლიკეთა ეკლესია და მონასტერია. მისმა მოსვლამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მგზავრი პატრებს არა ჰგვანდა. ერთი ამხანაგი და რამდენიმე მსახური ახლდა; დიდ ვაჭარს ამბობდნენ და დიდის ქონების პატრონს, — შვიდი თუ რვა საპალნე საქონელი ჩამოეტანა.

მგზავრი ქუჩაში ხშირად გამოდიოდა, ყველაფერს ათვალიერებდა, ვით მგზავრის წესია; და ვით მგზავრს შეეფერება, მორიდებით და ფრთხილად ეჭირა თავი, თუმცა ეტყობოდა, რომ პატრები დიდად პატივსა სცემდნენ და თითონ კაპუჩინების მოხუცებული მოძღვარი, მამა ნიკოლოზ, თან დასდევდა.

პატრები არა მალავდნენ მგზავრის ვინაობას, თუმცა მის ამბავს სრულად მაინც არ ამბობდნენ, მაგრამ ახალი ამბის მოყვარულისათვის მაგის გაგონებაც ძალიან სახარბიელო იყო.

ახალ-მოსულს ფრანგს ეძახდნენ შარდენს და ბედნიერ ხელმწიფის *) ვაჭარს ამბობდნენ. განსვენებულს შაჰ-აბაზ მეორეს გაეგზავნა

*) ასე ეძახდნენ ყაენს ჩვენნი წინაპარნი. იმ დროს შაჰ-აბაზ გადატვალებული იყო და სპარსეთს მეფობდა მისი შვილი სულეიმან შაჰ.

თურმე ეს ვაჭარი საფრანგეთს და დაებარებინა მრავალი ძვირფასი სამკაული გაეკეთებინებინა იქაურ ოქრომჭედლებისათვის. თითონ ხელმწიფემ თავის ხელით დაუხატა ყველა სახე ნივთებისა, რომელიც ფრანგ ოსტატებს უნდა გაეკეთებინათ. მივიდა შარდენ საფრანგეთს, შაჰ-აბასის შეკვეთილი ყველა შეასრულა, იყიდა ბევრი სხვა იქაური საუცხოო საქონელიც და წამოვიდა.

გამოიარა ხმელთაშუა ზღვა, სტამბოლი, შავი ზღვა და მოვიდა სამეგრელოს, საიდანაც იმერეთის გზით ქართლში უნდა შემოსულიყო. მაგრამ სამეგრელოში იმ დროს ომიანობა იყო და საშინელი არეულობა; ბევრი გაჭირვება გამოიარა შარდენმა თავის მხლებლებით, ბევრი განსაცდელი შეემთხვა ამ მგზავრობაში: დარბევა, ცარცვა, ტყვეობა და სხვა ძალადობა. რაც საქონელი ჰქონდა, თითქმის სულ დადიანსა, მის დედოფალსა და თავადიშვილებს წაერთმიათ, სიკვდილს თავი ძლივს დაახწია და გამოიპარა დიდის ვაი-ვაგლახით ისევ შავის ზღვისკენ. მივიდა ზღვით ოსმალო დაბას გონიას, ქობულეთის ახლო, სადაც მებაჟეებმა გაყვლიფეს, მერე ახალციხის გზით ძლივს საქრისტიანოს მოაწია და სამშვიდობოს გამოვიდა. თუმცა პირველი არ იყო შარდენისათვის შორეული მგზავრობა, ამას წინადაც მთელი ხმელეთი მოეელო და ინდოეთშიაც ყოფილიყო, მაგრამ, რაც სამეგრელოში ფათერაკი დაემართა, ამისთანა არსად ენახა.

ასეთსა და ბევრს სხვა საკვირველს ამბებს უამბობდნენ ყველას კაპუჩინები შარდენის მგზავრობაზედ. თითონ შარდენისას ამბობდნენ კიდევ ვითომც გვარიშვილი ყოფილიყოს, ყაენისაგან ფრიად მიჩნეული, ნასწავლი, ვარსკვლათ-მრიცხველი და ღვთის-მეტყველების მცოდნე.

კაპუჩინები შარდენის ქებასა და დიდებას არ იშურებდნენ, რადგან მათი სტუმარი იყო და უნდოდათ მისის შუქით თავიანთი ღარიბი ცხოვრება შეემოსათ, მისის მეოხებით მეფის წყალობა მოეპოვათ. მაგრამ რა განზრახვითაც უნდა ეთქვათ, მათი ნათქვამი მაინც კმაროდა ქვეყნის სალაპარაკოდ.

ტფილისი მაშინ დიდი ქალაქი არ იყო, ოცი ათასი მცხოვრები ძლიეს ეყოლებოდა. ამათში უმრავლესობა ვაჭარი ხალხი იყო, მერე მრავალი კარის მოხელე და დიდკაცობა,—სულ მოცლილი ხალხი, ახალ ამბავს დახარბებული და მოლაყბე. რაღა თქმა უნდა, რომ შარდენის ამბავი მთელს ქალაქს მოედო და ბატონის ყურამდეც მიაწია; შეიტყო აგრეთვე კათალიკოსმა და თბილელმა,[1]) და მოინდომეს მოგზაური ფრანგის ნახვა.

შარდენის სურვილიც ის იყო, რომ მეფის წინაშე წარმდგარიყო და ამიტომ სთხოვა კაპუჩინების მოძღვარს მისი მოსვლა ბატონისათვის მოეხსენებინა. იმ დროს ქართლის ტახტზედ იჯდა ვახტანგ მეხუთე, მაჰმადიანობაში შანავაზ I, ბედნიერის ხელმწიფის ჯანიშინი,[2]) მეფე ძლიერი და მდიდარი. შარდენს იმედი ჰქონდა, რომ რაკი მეფეს ყაენის მოცემულს ფირმანს წარუდგენდა, ვახტანგ კარგად მიიღებდა და ბადრაგას (მცველებს) გააყოლებდა სპარსეთში წასასვლელად.

მეფეს რო შარდენის მოსვლა მოახსენეს, იმავე მოძღვრის პირით შეუთვალა, „შენი მოსვლა დია მიამაო. ნუღა დაიყოვნი, მეწვიე, სასურველ სტუმრად მიგიჩნევო“.—შარდენმა მიუგზავნა მეფეს მისი მკურნალი, კაპუჩინი მამა რაფაელ პარმელი, რომ მოეხსენებინა: „დიდად გამახარა, მეფეო, თქვენმა პატივის ცემამა. დიალამც გეახლები თქვენდა თაყვანის საცემლად, მაგრამ შესაფერი ტანისამოსი ხელად არა მაქვს და ვეჰვ ათ დღეზედ ადრე შევიკეროო“.

შარდენ განგებ აგვიანებდა მეფესთან მისვლას და მხოლოდ მაშინ უნდოდა წარმდგარიყო, როცა სპარსეთში სამგზაეროდ მოემზადებოდა. კარგად იცოდა, ერთხელ რომ სადარბაზოდ მისულიყო, მერე მეფე ყოველ დღე მიიწვევდა და შარდენიც სწორედ მაგ ხშირს დარბაზობას ერიდებოდა, რადგანაც თვით ვახტანგ მეფე და დიდე-

---

[1]) ტფილისის ეპისკოპოსი.

[2]) ხელმწიფის მოადგილე, ნამესტნიკი.

ბულნიც ამასობაში ბევრს საჩუქარს დასტყუებდნენ და—ვინ იცის? —იქნება წაართმევდნენ კიდეც... მეგრელებსავით. შარდენ მუდამ ამის შიშში იყო და სანამ ქალაქის ზღუდეს არ გასცილდა, გული საგულეს არა ჰქონდა.

მეფის მკურნალმა ვერ შეასრულა მოციქულობა, თუ მეფემ არ დაიჯერა შარდენის ბოდიში,—ის კია, რომ ვახტანგმა მეორე დღესვე, 2 თებერვალს, დილით მიუგზავნა შარდენს მემანდართ-უხუცესი [3]) და შეუთვალა: „დღეიდგან ყველიერი იწყება, ყოველ დღე ნადიმი მექნება და მეწვიეო“.

ვერაფრად ეჭაშნიკა შარდენს ასეთი წვევა. სცადა ერთიც თავიდან აეცილებინა მეფის უდროო წყალობა, გაუგზავნა კაპუჩინების მოძღვარი და მამა რაფაელ მკურნალი და შეეეედრა მეფეს: „მოიღე მოწყალება და მოითმინე კვირა დღემდე, ვიდრე ტანისამოსს შეეიკერავდეო“. ეახლნენ მოციქულნი მეფეს, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ დაბრუნდნენ. ებრძანა ვახტანგ მეფეს შარდენისათვის: „ძალიან მოსურვებული ვარ ევროპის ამბები გავიგო და ეხლავ მოდი რა კაბითაც ხარო“.

ნამდვილ-კი, ისე მეფეს არ ეშურებოდა ევროპის ამბის გაგება, როგორც კაპუჩინებს—შარდენის წარდგენა, რომ ეჩვენებინათ მეფისათვის თავიანთ ქვეყნის კაცი, ბედნიერის ხელმწიფის მახლობელი და ამით მეფის პატივი მოეპოვათ. მეტი ღონე არ იყო, უნდა დამზადებულიყვნენ შარდენ თავის ამხანაგით სადარბაზოდ. გადაარჩიეს მეფის მისართმევად საჩუქრები, ჩაიცვეს საუკეთესო ტანისამოსი, წავიდნენ და წაიყოლიეს კაპუჩინების მოძღვარი და მამა რაფაელ, მეფის მკურნალი.

სამეფო სასახლე, როსტომ მეფის აშენებული, იმ დროს მტკვრის პირს იდგა.[4]) სასახლიდან შუა ბაზრამდე ფართო მოედანი გადმო-

---

[3]) მესტუმრეთ-უხუცესი, სტუმრების მზრუნველი, მეურნე.

[4]) ახლა აქ ეგზარხოსის სასლია.

შლილიყო, ისეთი რომ ათასი ცხენოსანი დაეტეოდა, გარს დუქნები შემოერტყმოდა და მოედნის თავში აქეთ და იქით შუა ბაზარი გადიოდა. საუცხოო სანახავი იყო შუა ბაზრიდან ალაყაფის პირდაპირ ეს მოედანი და სასახლის პირი. თითონ სასახლე დიალამც ქალაქის თვალი და შვენება იყო. მტკვრისკენ რამდენიმე დიდი დარბაზი ჰქონდა და წყლის პირამდე ვეება ბაღი გადაშლილიყო. მეფის სასახლესთან იყო გამართული ყაუშხანა, სადაც ინახებოდა მრავალი სხვა და სხვა გვარი ფრინველი, აგრეთვე საძაღლე და საუკეთესო საბაზიერო [5]).

შუადღე მოწეულიყო, ჩვენი ფრანგები რომ მეფის კარს მიადგნენ. მათ ელოდნენ და სუფრა ჯერ არ გაეშალათ. სტუმრები სეფე დარბაზს შეიყვანეს, საცა მეფე ბძანდებოდა. დარბაზი სიგრძით თექვსმეტის საჟენისა იყო და სიგანით ექვსისა, მტკვრის პირისკენ იყო მიქცეული და ვეება ფანჯრები წყალს დასცქეროდა. სოფიას კენჭით [6]) მოკაზმულს ჭერს მრავალი ბოძი ჰქონდა შედგმული, ხუთი თუ ექვსის საჟენის სიმაღლისა, ოქროთი და მხატვრობით დაფერილი, და იატაკი სულ ხალებით იყო მოფენილი. მეფე და დიდებულნი სამს პატარა ბუხართან ისხდნენ, აქვე ბძანდებოდა კათალიკოსი დომენტი II, ვახტანგ მეფის ბიძაშვილი, „კაცი ღირსი საყდრისა“ და აგრეთვე თბილელი. ეს ბუხრები და რამდენიმე მაყალი ისე ათბობდა ამ ვეება დაარბაზს, რომ კაცი სიცივეს ვერა ჭგრძნობდა.

ვახტანგ მეფე, მემატიანეს სიტყვით, თავის დროს „იყო მხნე, ახოვანი [7]); ჰაეროვანი [8]), გამოცდილი ბრძოლასა შინა და შემმართებელი [9]), მოისარ-მოასპარეზე რჩეული [10]), ღრმად-გამგონე, ღრმად

---

[5]) სადგომი სადაც ინახება მონადირე ფრინველები—ქორი, მიმინო, შავარდენი, გავაზი.

[6]) მოზაიკა. [7]) გულოვანი, მამატი. [8]) თავლადი, წამოსადეგი.

[9]) გამბედავი. [10]) ისრის მსროლელი; მოასპარეზე—მობურთალი, მოჯირითე, მონადირე და სხვა, ახლა რომ იტყვიან—სპორტსმენი.

მოუბარ-განმზრახი [11]), უხვი, ქერიე-ობოლთა შემწყალე, მრისხანე ჯეროვანი და მოწყალე, სვიანი [12]) და ღუთის-მოყვარე". ახლა კი მეფე ღრმად მოხუცებული იყო, ოთხმოც წელს გადასული, და უწინდელს თვისებას წლოვანობა რასაკვირველია ბევრს დააკლებდა, მაგრამ ვახტანგ მაინც ძალიან მხნედ და ჯანმრთელად იყო.

რადგანაც საქართველოს მეფის კარზედ სპარსული სადარბაზო წესი იყო შემოღებული, სტუმრებს პირველს წარდგენაზედ ისევე უნდა ეცათ თაყვანი მეფისათვის, როგორც ყაენსა სცემდნენ თაყვანსა. მიუახლოვდებოდა თუ არა სტუმარი მეფეს ორიოდე ნაბიჯზედ, უნდა დაჩოქილიყო და სამჯერ ზედი-ზედ მიწამდე თავი მოეხარა. ამ წესს ამაყი ევროპელები ყოველთვის ეურჩებოდნენ, რადგან თაყვანისცემა მხოლოდ ღმერთისა გვმართებს და არა კაცისაო. ჩვენებიც ზოგჯერ არ აიძულებდნენ ფრანგებს ამ წესის ასრულებას: უცხო ტომის ხალხია და ჩვენებური ზრდილობა არ იცისო.

ახლაც დაუთმეს ფრანგს. შარდენმა მეფეს სამჯერ თავი დაუკრა, მუხლ-მოუყრელად. მეფემ დაჯდომა ბრძანა და ახლა აქ გაიმართა ერთი ცერემონია. შარდენს არ უნდოდა კაპუჩინების ზევით დამჯდარიყო, თუმცა მემანდრები და სალთხუცესი [13]) იწევედნენ. ამ თავაზიანობით შარდენს სწადდა თავისი პატივის ცემა გამოეცხადებინა კაპუჩინებისათვის, რომ მეფესა და დარბაზის ერს უკეთ მიეჩნიათ ესენი.—რა გითხრათ, რა ეამა კაპუჩინების მოძღვარს ასეთი თავაზიანობა შარდენისა! ბოლოს, ბევრი ხვეწნის შემდეგ ძლივს დაიყოლია მოძღვარმა შარდენ, მამა რაფაელ მკურნალის ზევით მაინც დამჯდარიყო.

ამასობაში, ფეშქაშის თავილდარმა [14]), რომელმაც ჩამოართვა

---

[11]) ორატორი და პოლიტიკი. [12]) ბედნიერი.

[13]) მემანდარი—მესტუმრე, მიმღები და მწვეველი სტუმრისა. სალთხუცესი—მინისტრი კარისა და ფინანსთა.

[14]) მოხელე, რომელსაც ებარა მორთმეული ძღვენი.

შარდენს ყაენის ფირმანი და მეფის მისართმეები საჩუქრები, დაალაგა ეს საჩუქრები დიდს ვერცხლის სინზედ, დაუდგა მეფეს ფეხთით და ფირმანი მიართვა. წამოდგა მეფე, გამოართვა ბედნიერის ხელმწიფის ფირმანი, გახსნა, დაიდო პირსა და შუბლზედ და გადასცა დიდ ვეზირს, რომ წაეკითხნა და მოეხსენებინა.

მერე მოუბრუნდა მეფე შარდენის მორთმეულს ფეშქაშებსა და დიდის ხალისით და სიამოვნებით შინჯვა დაუწყო. აი რა ნივთები ეძღვნა შარდენს ვახტანგისათვის:

დიდი უბის საათი, ვერცხლისა, გულქანდიანი და ოქროთი დაფერილი, მთვარის მოქცევის მაჩვენებელი.

ბროლის სარკე, ვერცხლით მოჭედილი.

ოქროს კოლოფი, მინაქრიანი, თრიაქის (ოპიუმის) აბებისათვის. ამ აბებს სპარსელები დღეში რამდენსამე ჰყლაპავენ.

ყუთი ყველა საქირურგიო იარაღითა, საუცხოოდ ნაკეთითა.

დანები, უცნაურის და ტურფა ნაკვთის ტარებითა.

ჯერ ახლაც რომ ვგიჟდებით „გრანიცის საქონლისათვის“ და მამის სისხლის ფასად ვყიდულობთ, თქვენ წარმოიდგინეთ, რა რიგად უნდა მოსწონებოდა მაშინ მეფესა და დიდებულებს შვენიერი და უნახავი საფრანგეთის ნივთეული. მაგრამ არც მეფემ და არც დიდებულებმა არ დაიჩნიეს მეტის მეტი სიხარული და გაკვირვება, რომ ფრანგების თვალში არ დარჩენოდათ უმეცრობა.

ვეზირმა ყაენის ფირმანი რომ წაიკითხა, შინაარსი მეფეს მოახსენა, დაბალის ხმით. ბედნიერი ხელმწიფე უბრძანებდა ყველა თავის ბეგლარბეგებს, ხანებს, გამგეებსა და მოხელეებს პატივი ეცათ და ყოველი დახმარება და შემწეობა აღმოეჩინათ „აღა“ რეზენისა და შარდენისათვის, ამ „სოედაგრების თვალისათვის“. ბრძანება ისეთი საასტიკი იყო და ამ ვაჭრებისათვის ისეთი საპატიო, რომ არც მეფესა და არც ბატონიშვილებს ამისთანა არა გაეგონათ-რა და ამიტომაც დიდად მიიჩნიეს შარდენ და მისი ამხანაგი.

ფირმანი ერთი ადლის სიგრძისა და თოთხმეტი გოჯის სიგანის

ქაღალდზედ იყო დაწერილი შვენიერის ხელითა და გარშემო განიერი, ფერადებით ნახატი არშია შემოვლებული ჰქონდა. შავი მელნით დაწერილს სპარსულს ტექსტში ღვთის სახელი ოქროს მელნით იყო გამოყვანილი, ფეიღამბარისა[15]) ან წმინდისა—ლურჯით და შაჰის სახელი-კი—წითლით. ახლა-კი არც მეფემ და არც დიდებულებმა გაკვირვებასა და აღტაცებას თავი არ დარიდეს. მეფემ ფირმანის გადმოწერა ბრძანა და დიდებულებმა ხელის-ხელ საგოგმანები გახადეს. ამით უნდოდათ ვითომ გამოეჩინათ ყაენის ერთგულობა და თაყვანის ცემა.—პოლიტიკის საქმე იყო.

ყაენის ფირმანის შემდეგ შარდენმა წარუდგინა მეფეს ყაენის სალთხუცესის ბარათი, რომლითაც ეს დარბაისელი ყველა სპარსეთის მმართველებსა და მოხელეებს უბძანებდა მფარველობა და შველა მიეცათ შარდენისა და რეზენისათვის. ამ ბარათს იქნება მეტი ძალა ჰქონდა ვინემც ყაენის ფირმანს, იმიტომ რომ სალთხუცესი ყაენის მახლობელი იყო და გავლენიანი კაცი.

ფირმანისა და ბარათის კითხვა რომ დაასრულეს, წამოდგა შარდენ და უჩუმრად მეფეს თავი დაუკრა. მეფემაც ხმა არ გასცა და არც დაიძრა.

ამის შემდეგ შემოვიდნენ სუფრაქეშნი, მეგოდრები, მეშარბათეები, მეღვინეები, ფარეშები და მრავალი სხვა მოსამსახურე და ხელის კაცი, გაშალეს სუფრა და მოიტანეს სადილი.

სადილი რომ დაიწყეს, მეფემ მეგოდრეთ-უხუცესის[16]) ხელით გაუგზავნა შარდენს ოქროს სინზედ იმ დიდი პურის ნახევარი, რომელიც წინ ედო და შეუთვალა: „ჩვენი სასურველი სტუმარი ბძანდებოდეო“. ცოტა ხანს შემდეგ კვლავ მიუგზავნა ეჯიბი[17]) და

---

[15]) მოტიქული.

[16]) გამოამცხვარის პურის ზედამსედველი და სუფრაზე ჩამორიგების უფროსმგდებელი.

[17]) კამერჭერი, მეფის მაგიერ მოლაპარაკე.

იკითხა: „პოლონეთის და ოსმალოს ომის ამბავი რა იციო?“ [18])

მეორე რიგი საჭმელი რომ მოიტანეს, მეფემ ფრანგებს თავის „სამეღვინის“ ღვინო გაუგზავნა და თავის თასით დაალევინა. ბატონის ღვინო დიდ ოქროს და მინანქრიანის სურით მიართვეს, მეღვინეთ-ხუცესმა ლალითა და ფირუზით მოჭედილს ოქროს თასში დაუსხა და ბატონის ბძანება მოახსენა: „გამხიარულდით და სმა და ჭამას უმატეთო“.

მესამე რიგის საჭმელზედ მეფემ უფრო დაუყვავა ფრანგს სტუმრებს. გაუგზავნა თავის სუფრიდან ერთი შემწვარი ხოხობი, ორი კაკაბი და ჯეირნის ბეჭი, და ამასთან შეუთვალა: „ნადირის ხორცს ღვინო მოუხდებაო. მაგრამ ნუ გეშინიათ, თქვენს ნებაზედ სვით, ნაბძანები მაქვს ძალა არაფინ დაგატანოსო“. ყველა ამ პატივის ცემისათვის შარდენ, მისი ამხანაგი და კაპუჩინები მადლობას უხდიდნენ მეფეს დაბლა თავის დაკვრით უჩუმრად. ასეთი იყო თურმე ამ შემთხვევაში სპარსული ჩვეულება, ქართლშიაც შემოღებული.

აღარ გავაგრძელებ ამ მცირე ნადიმის წესისა და დიდების აღწერას, ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ პატარა ნადიმზედ ძალიან ბევრი ღვინო დაილია და უზომო ხორცი შეიჭამა. სახსნილოს გარდა სამარხო სადილიც მოჰქონდათ კათალიკოზისა და თბილელისათვის. ნადიმზე სამი საათი ისხდნენ, მაგრამ ყველა ბოლომდის როდი დარჩენილა, ზოგი მეინახე მაშინ ადგა და გარეთ გავიდა, როცა მწვადები ჯერ არ გაეთავებინათ.

შარდენ, მისი ამხანაგი და კაპუჩინები დაეთხოვნენ მეფეს დაბლა თავის დაკვრით. ვახტანგ მეფემ გამოსალმებისას კვლავ შეუთვალა შარდენს: „ჩემი სასურველი სტუმარი იყავიო“,—და ფრანგები სახლამდე მიაცილებინა.

ნადიმის შემდეგ, მესამე დღეს, ვახტანგ მეფემ გაუგზავნა შარ-

---

[18]) უეჭველია, მეფე იმ ომის ამბავს კითხულობდა, რომელიც გათავდა ინ სობესკის გამარჯვებით 1673 წ.

დენს ძღვნად ორი დიდი სურა ღვინო, ორი ხოხობი და ოთხი კა-
კაბი. კარის კაცმა, რომელმაც ეს ძღვენი მოუტანა, მოახსენა შარ
დენს: „ბატონმა ბრძანა, ხომ არა გიჭირს რა და კაპუჩინები ხომ
კარგად გემასპინძლებიანო?“ ამას გარდა მეფე შემოეთვალა: „თუ
ეგ ღვინო მოგეწონა, ყოველდღე გამოგიგზავნიო“. შარდენმა სთხო-
ვა დარბაისელს მეფისათვის მოეხსენებინა: „ჩემი მასპინძლები ისე
მივლიან, რომ არა მაკლია რა, და თქვენს ნაბოძებს ღვინოს თქვენს
სადღეგრძელოდ დავლეეთო“:

ოღონდაც, ღვინო საუცხოო გამოდგა! შარდენმა მოიწვია ერთი
პოლონელი ქირურგი ქალაქში მცხოვრები და ორი სირიელი, მე-
ფის კარის კაცნი, და მეფის ძღვენით კაი ვახშამი გაუმართა.

მეფემ არ აკმარა შარდენს ამდენი წყალობა და თავის ძმის-
წულის ქორწილზე მიიწვია, რომელიც 6 თებერვალს უნდა მომხდა-
რიყო.... მაგრამ ამ ქორწილის ამბავს სხვა დროს მოგახსენებთ.

ალ. სარაჯიშვილი.



ტროპადის ომი. *)

ოქროს ვაშლი.

ღვის ღმერთის ფეტიდას სილამაზეს მთელი საბერძნეთი აღტაცებაში მოჰყავდა. ღმერთებიც-კი გულგრილათ ვერ შესცქეროდენ ახალგაზრდა ქალ-ღმერთის კალმით აუწერელს სილამაზეს. ზღვათა და ოკეანეს ბრძანებელი ღმერთი პასსეიდონი და თვით ღმერთების მამათ მთავარი ზევსი ერთი მეორეს მტრულის თვალით უყურებდენ, თვითოეული მათგანი გულმხურვალეთ მოწადინებული იყო უმშვენიერესს ქალ-ღმერთას შეულლებოდა. ამ განზრახვას პასეიდონი ან ზევსი უთუოდ სისრულეში მოიყვანდა, რომ შორს მჭვრეტელს პრომეთეოსს მათთვის ხელი არ შეეშალა. პრომეთეოსმა განუცხადა ღმერთებს, რომ ფეტიდას კანონიერის მეულლისაგან შეეძინება ვაჟი, რომელიც ჯანღონით და ვაჟკაცობით მამას ბევრათ აჯობებსო. ღმერთები პრომეთეოსის წინასწარმეტყველებამ დიდს საგონებელში ჩააგდო.

ოლიმპის მბრძანებელმა ზევსიმ და პასეიდონმა გადაწყვეტეს ფეტ და „ეინმე მომაკვდავისათვის“ მიეთხოვებინათ და ამნაირათ თავიანთ ძლიერებისათვის მომავალში ჩრდილი არ მიეყენებინათ. ღმერთებმა უმშვენიერესს ქალ-ღმერთის ფეტიდას მეულლეთ დასახეს ეაკის ვაჟი პელეიასი. ფეტიდა და პელეიასი ღმერთების სურვილს წინ აღარ

*) ისიდე „ჯეჯილი“ № I.

აღუდგენ და სულ მოკლე ხანში ბრწყინვალე ქორწილიც გააჩაღეს პელიონის მთაგრეხილებზე გამოჭიმულს დიდებულს დარბაზში.

ბრწყინვალე და დიდებული იყო ეს ქორწილი. ყოველად შემძლე ღმერთებიც კი დაესწრენ პელეიასის და ფეტიდას ბედნიერებას. ღმერთების მამათ მთავარი ზევსი და ჰერა, ათინა და არეასი, აპოლონი და არტემიდა, აფროდიტა და ჰეფესტი, ყველას ერთათ ამ ქორწილზე თავი მოეყარათ და უსაზღვროთ მხიარულობდენ.

აპოლონ ღმერთი ნაზათ აჟღერებდა კითარას სიმებს. კითარას საამური სიმთა ჟღერა ფიანდაზათ ეფინებოდა არე მარეს და მხიარულს სტუმრებს ერთი ორათ ამხიარულებდა. ქალთა-ღმერთებს მჭიდროთ ჩაეკიდათ ხელი ერთი მეორესათვის და სიცილ კისკისით და თამაშით მწყობრათ უვლიდენ გარშემო თვალ-უწვდენელ დარბაზის სალონს. ყველა მხიარულობდა, ყველას სახე სიხარულით ულიმოდა. მეფე-დედოფალიც საერთო მხიარულებით ფერხულში ჩაბმოდენ და, კმაყოფილი სრულის ბედნიერებით, თავ-მდაბლათ ღებულობდენ გულწრფელს მილოცვას და მასთანვე ურიცხვ ძვირფასს და ფას დაუდებელ საჩუქრებს.

ფეტიდას და პელეიასის ბედნიერებას შურის თვალით შეჰყურებდა ერთათ ერთი უთანხმოების ქალ-ღმერთი ერისი, რომელიც ამ ბრწყინვალე ნადიმზე არ იყო მოწვეული. ერისი ამისგამო დიდათ შეურაცხყოფილათ გრძნობდა თავის თავს, და ამიტომ იგი ცდილობდა ხელი შეეშალა ახალ დაქორწინებულთა ესეთის მხიარულებისათვის. უთანხმოების ქალ-ღმერთმა მართლაც მიაღწია თავის საწადელს.

ერისი შეუმჩნეველად მიუახლოვდა მექორწინეთა დიდებულს დარბაზს და სრული მხიარულების დროს ერთბაშათ შეისროლა სასტუმრო დარბაზში ჰესპერიდების ბაღში მოწყვეტილი ოქროს ვაშლი. ამ ვაშლზე ოქროს ასოებითვე წარწერილი იყო: „სილამაზით ყველაზე უფრო უმშვენიერესს“. ქალთა-ღმერთებმა დარბაზში ერთი ჩოჩქოლი ასტეხეს, თვითოეული ქალ-ღმერთი ოქროს ვაშლს თავის

საკუთრებათ აღიარებდა და ერთი მეორეს არ უთმობდა. ჰერა, ათინა და აფროდიტა პირველობას სილამაზეში ერთი მეორეს არ უთმობდენ. ასტყდა ქალ-ღმერთებთა შორის დიდი და ცხარე დავა. ქალ-ღმერთებმა მსაჯულათ აირჩიეს თვით ღმერთების მამათ მთავარი ზევსი, მაგრამ ოლიმპის მბრძანებელმა არ მოისურვა მსაჯულათ ყოფნა ესეთის სახიფათო საქმის გადაწყვეტაში.

ზევსიმ გადასცა ოქროს ვაშლი ჰერმესს და უბრძანა, წადი ეს ვაშლი გადაეცი ტროადის მეფის პრიამის ვაჟს ალექსანდრეს, რომელიც ამ ჟამად იდის მთა-გრეხილებზე საქონელს აძოვებს, და იგი განსჯის სამართლიანათ, ვინ უფრო ულამაზესია ჰერა, ათინა თუ აფროდიტაო.

ერთხელ პრიამის ვაჟი იდის უდაბურ ტყით დაფენილს წვერ-ვალოზე იჯდა და საოცნებოთ სალამურს უკრავდა. მთელი არე მარე სალამურის ტკბილსა და ნაზ ხმას ერთიანათ დაეტყვევებია. ტყის ნადირნი ერთს ადგილას შეჩერებულიყვენ და ნეტარების ფიალას ეწაფებოდენ. ფრთოსანთაც ჩეულებრივი ჟივილ ხივილი შეეწყვიტათ და ახალგახდა მწყემსის სალამურის კვნესას სულ განაბულნი ყურსა უგდებდენ.

ღმერთების მოციქული ჰერმესი და სამი უმშვენიერესი ქალ-ღმერთა ათინა, ჰერა და აფროდიტა შეუმჩნეულათ მიუახლოვდენ ამ საოცნებო ადგილას. ჰერმესმა გადასცა ოქროს ვაშლი ალექსანდრეს და ღმერთების მამათმთავრის ზევსის სურვილიც გაუმჟღავნა „ვინც ამ სამ ქალ-ღმერთთაგან ყველაზე უფრო ულამაზესია, ეს ოქროს ვაშლი იმას უნდა აკუთვნოო“, ასე დაამთავრა სიტყვა ზევსის მოციქულმა და დაუყოვნებლივ თავის გზას გაუდგა.

პრიამის ვაჟი განცვიფრებით შესცქეროდა კალმით აუწერელს ქალ-ღმერთების სილამაზეს და ვერ გადაეწყვიტა, ვისთვის უნდა დაელოცნა სილამაზეში პირველობა. მეტად ძნელი საკითხი უნდა გადაეწყვიტნა ახალგაზრდა მწყემსს. თვითოეული ქალ-ღმერთი დიდ შეურაცხყოფად მიიჩნევდა, თუ რომ პრიამის ვაჟი პირველობას

სილამაზეში მას არ აკუთვნებდა და ოქროს ვაშლს არ არგუ-
ნებდა.

ქალ-ღმერთნი ირგვლივ შემოერტყნენ ახალგაზრდა მწყემსს და
მრავალის სხვა და სხვა დაპირებით ოქროს ვაშლის დაპატრონებას
მოუთმენლად მოელოდნენ.

„თუ რომ ოქროს ვაშლს მე მარგუნებ“, ჰპირდებოდა ჰერა
ახალგაზდა მწყემს: „უძლიერესი გმირთა გმირი შეიქმნები, შენ გახ-
დები უძლიერესი მეფე მთელის აზია და ევროპისა“. ქალ-ღმერთი
ათინა ესეთის პირობით იკერძებდა თავისაკენ პრიამის ვაჟს: „ყველა
მომაკედავთა შორის ბრძენზედ უბრძენესი იქმნები, თუ რომ სილა-
მაზეში პირველობას მე მაკუთვნებო“. ბოლოს ახალგაზრდა მსა-
ჯულის წინაშე წარსდგა ყვავილებით შემკული ქალ-ღმერთი აფრო-
დიტა და აღუთქვა პრიამის ვაჟს, თუ ოქროს ვაშლს მარგუნებ,
სილამაზეში პირველობას მაკუთვნებ, მთელს დედამიწის ზურგზე
ულამაზესის ქალის, უმშვენიერესის, ელენეს გულს მოგიგებ, მისი
გულწრფელი და უსაზღვრო სიყვარულის ღირსად გაგხდიო.

პრიამის ვაჟმა ცოტა ხნის განსჯის შემდეგ ოქროს ვაშლი ყვა-
ვილებით მორთულ მოკაზმულ ქალ-ღმერთ აფროდიტას მისთავაზა.
ჰერამ და ათინამ ძრიელ შეურაცხყოფილად ჩასთვალეს თავიანთ
თავი და ერთხმად გადასწყვიტეს ახალგაზდა მწყემსის სამშობლოს
ტროადას დალუპვა, განადგურება. ამნაირად ღმერთებთა შორის ჩა-
მოვარდა დიდი უთანხმოება და შუღლი, რომელსაც აუცილებელ
შედეგათ მოჰყვა ხანგრძლივი და დამღუპველი ომი აზიისა და ევ-
როპის მკვიდრთა შორის.

პრიამის მეუღლეს ჰეკაბას ძრიელ აწუხებდა თავი-
სი ღვიძლი შვილის უდროოთ დაკარგვა. ედოფალის მწუხარებას
საზღვარი არა ჰქონდა. იგი მუდამ დღე ცხარე ცრემლებს ღვრიდა
და მწარეთ დაქვითინებდა მეფის ბრძანებით იდის მთა-გრეხილებზე
გადაგდებულს ვაჟის შვილს. ედოფლისათვის რომ მეფეს მწუხარე-
ბა ცოტათი მაინც შეემსუბუქებინა, მეფემ დაკარგულის შვილის

სახსოვრათ გამართა თავის სახელმწიფოში ბრწყინვალე ჭიდაობა. ვინც ამ ჭიდაობაში ძლევა მოსილი გამოვიდოდა, საჩუქრათ მიიღებდა მეფისაგან მთელს სახელმწიფოში ულამაზესს ხარს. ყველაზედ უფრო ულამაზესი ხარი ალექსანდრე მწყემსის ჯოგში აღმოჩნდა. მეფის ბრძანებით ხარი ტროადაში წაიყვანეს. ახალგაზდა მწყემს იმოდენად უყვარდა ეს ხარი, რომ მისი დაშორება ვეღარ შესძლო და თვითონაც გაჰყვა ტროადაში.

დანიშნულს დღეს ჭიდაობაში მონაწილეობას იღებდენ მეფის ვაჟები და სახელმწიფოს ყველა წარჩინებული გმირნი.

ალექსანდრე მწყემსმაც მოისურვა ჭიდაობაში მონაწილეობის მიღება. სახელმწიფოს ყველა წარჩინებული გმირი და თვით მეფის ვაჟებიც კი სძლია უბრალო მწყემსმა. მეფის ვაჟებმა დიდ შეურაცყოფათ მიიჩნიეს მწყემსის ესეთი გამარჯვება და ერთმა მათგანმა, სახელდობრ დეიფობმა, ბასრი ხმალიც კი იძრო ქარქაშიდან და ის იყო უნდა გაეგმირა მწყემსი გმირი, რომ ამ უკანასკნელს თავი არ შეეფარებინა ზეუსის საკურთხეველისათვის.

ღმერთების მამათმთავრის საკურთხეველთან ამ დროს იდგა პრიამის ქალიშვილი კასსანდრა, რომელმაც ახალგაზდა მწყემსი თავის დაკარგულ ძმად იცნო. განუსაზღვრელი იყო მეფე პრიამის და დედოფალ ჰეკაბას სიხარული დაკარგულის შვილის მოულოდნელის ჰოვნით. სიხარულის ცრემლებს ნაკადულებრ აფრქვევდენ მეფე, დედოფალი და მთელი სამეფო სახლობა, ყველანი გულმხურვალეთ იკრავდენ გულში ახალგაზდა გმირს და განუსაზღვრელ ნეტარებას ეძლეოდენ.

ამ დღიდან ახალგაზდა გმირი „ალექსანდრეს“ მაგივრათ „პარისის“ სახელს ატარებდა და სამეფო გვარეულობაში დიდის პატივის ცემით და სიყვარულით იხსენიებოდა.

ს. უუმისთაგელი.

ფიზიკური გეოგრაფია.

(პროფესორი გეიკისა)

წყლის ბრუნვა დედამიწაზე.

წინა წერილებიდან ჩვენ გავიგეთ, რომ დედამიწიდან ყოველი წყალი ორთქლათ ადის, ორთქლიც ჰაერში გადადის და იქ ნამათ, ნისლათ და ღრუბლათ იკუმშება. გავიგეთ ისიც, რომ ღრუბლებათ გადასული ორთქლი წვიმათა და თოვლათ იქცევა და ამა თუ იმ სახით ისევ დედამიწას უბრუნდება. ამნაირათ ხდება წყლის ბრუნვა ქვეით დედამიწასა და ზეით ჰაერს შორის. მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ წყლის ბრუნვას. უამისოთ დედამიწაზე ვერც ერთი სულდგმული ვერ გასძლებდა, ყოველივეს სიცოცხლე მოესპობოდა. ეს ბრუნვა რეცხს და ასუფთავებს ჰაერს და ამით თავიდან გვაცილებს სხვა-და-სხვა მავნებელ ნივთიერებას. იგი აგრილებს და ალბობს მიწის პირს და აძლევს მას საშუალებას მცენარეულობა ასაზრდოვოს. იგი მატებს წყალს მდინარეებს, წყაროებს და ღელეებს... ერთი სიტყვით ეს ბრუნვა ცხოვრების ჩარხია. კიდეეაც მსოფლიოს ამისთანა ჩარხი დიდის ყურადღებით უნდა შეეისწავლოთ. ჩვენც ქვემოთ გავითვალისწინებთ თუ წვიმას და თოვლს რა ემართებათ მას შემდეგ, როცა იგინი დედამიწაზედ ეცემიან.

I. სად მიდის წვიმის წყალი.

თუმცა ჰაერი მუდმივ ისვამს დედამიწიდან ადენილს წყლის ორთქლს, ორთქლიც იკუმშება და მიწასვე წვიმათა და თოვლათ უბრუნდება, მაგრამ ჩვენ ზღვას, მდინარეებსა და ტბებს მაინცა და მაინც ვერც წყლის მომატებას ვამჩნევთ და ვერც მოკლებას. ასე რომ ეს ორი ბუნების მოვლენა, აორთქლა და შეკუმშვა, ერთი მეორის თანაბარია. ხოლო აშკარაა ისიც რომ ჰაერიდან მიწაზედ დადენილი სისველე მაშინვე ორთქლად არ ადის. მართლაც ნაწვიმარევზე გზები ხომ მაშინვე არ შრებიან და დიდი წვიმისაგან წალეკილი არე მარე რამოდენიმე დღესაც გაუმშრალია, სველი. დედამიწიდან წყალი რამოდენიმეთ აორთქლის მიზეზით ქრება, ხოლო უმეტესი ნაწილი-კი სხვა-და-სხვა გზით გვემალება. ციდან წამომსკდარი წვიმის უმეტესობა ზღვებს ჩაუდის, რადგან დედამიწაზე წყალი სამჯერ მეტია ხმელეთზე. ამნაირათ ზღვას აორთქლის დროს დაკარგულს წყალს წვიმა აუნაზღაურებს ხოლმე. მაგრამ ხმელეთზედაც მეტათ ბევრი წვიმა უნდა ეცემოდეს. გამოანგარიშებული იყო მაგალითათ, რომ მარტო ველიკობრიტანიაზე ყოველ წლივ 225 კუბიკური ვერსის სივრცეზე ედინება წვიმის წყალი. ხოლო ამაზე უფრო წვიმიანი ალაგებიც არის. ინდოეთის ზოგიერთ ადგილას ერთი წლის განმავლობაში იმდენი წვიმა მოდის, რომ ეს წვიმა იქვე დარჩეს, სადაც დაედინა, მიწა მაშინ 6 საჟენის სიღრმე წყლით მოიფარებოდა.

მაგრამ წვიმა იქვე-კი აღარ რჩება, სადაც დაედინა, იგი სადღაც იმალება, ჰქრება. დაუკვირდით წვიმიან დღეში ქუჩებს, გზებს და გაიგებთ წვიმას რაც მოუდის. მართლაც დიდი წვიმის დროს ქუჩებზე პატარ-პატარა ნიაღვრები მიმორბიან. აბა მიჰყეთ და დააკვირდით რომელიმე მათგანს, იგი მეორეს შეუერთდება, ორივე მოზრდილ ღელეს, ღელე კიდევ მდინარეს, ხოლო მდინარეს თუ გაჰყვებით ზღვას განახვევთ, იგი ზღვას ჩაუდის. წარმოიდგინეთ ახლა რამდენი ამისთანა ღელე და მდინარეა ქვეყნიერებაზე და მიხვდებით კიდეც

რამოტელა წყალი ჩაუდის ზღვებს ხმელეთიდან. მაგრამ განა მთელი წვიმის წყალი ამ გზით მიდის ზღვაში? რასაკვირველია არა. მხოლოთ ერთი ნაწილი. დედამიწაზე დადენილი წვიმის უმეტესობა ისევე ორთქლათ ადის. სწავლულების ნაცადისა და ნაანგარიშევის მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ ორთქლათ ასული წვიმა უდრის $^3/_4$ მთელი წვიმისას; ამ რიგათ მხოლოთ წვიმის $^1/_8$ ერთვის ზღვას მდინარეების საშუალებით.

მაგრამ წვიმის წყალი კიდევ სხვა გზითაც იმალება, მხედველობიდან გვეკარგება. ვთქვათ წვიმის მოსვლამდის თქვენს ეზოში მიწა ძალზე მშრალი, გამხმარი იყო და წვიმის შემდეგ ამ ეზოში პატარა ორმო ამოთხარეთ. როგორა გგონიათ? ამ ორმოში მიწა მშრალი იქნება? რა თქმა უნდა, არა. რადგან წვიმა რამოდენიმეთ მიწაში გაიჭონა. ხოლო უფრო ღრმათ თუ ამოთხრით ორმოს, ნახავთ რომ იქ მიწა არამც თუ სველია წყალიც კი დგას; ამ წყალის ზეით ამოღებაც შეიძლება. აქედან აშკარათ სჩანს რომ მიწაზედ გადმოდენილი წვიმის ერთი ნაწილი მიწაშივე ჭონავს და იქ გროვდება.

მაგრამ შეიძლება იფიქროთ რომ ამნაირათ გამქრალი, მიწაში გაჭონილი წყალი სამუდამოთ გამოაკლდა იმ წყლის ბრუნვას, რომელსაც ჩვენ ეხლა ვიკვლევთ. მართლაც, რაკი იგი ძირს ქვესკნელში ჩავიდა, რაღანაირათ გაჩნდება ზეით დედამიწაზე? დაფიქრდით ცოტაოდენ მაინც და უეჭველათ დარწმუნდებით, რომ რაც უნდა დაემართოს ძირს გაჭონილს წყალს იგი მაინც არ დაიკარგება. მიწაში ჩადენილი წვიმის წყალი რომ სამუდამოთ შორდებოდეს დედამიწაზე არსებულს წყლის ბრუნვას, მიმოსვლას, მაშინ ხომ შეამჩნევდით დედამიწაზე წყლის რაოდენობის შემცირებას, დაკლებას; ზღვები დაიკლებდენ, მდინარეები და ტბები ამოშრებოდენ. მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვამჩნევთ. ზღვები იგეთივე ღრმა, ეებერთელა არიან, როგორც რამდენიმე ასის წლის წინეთ. აგრეთვე მდინარეები, ტბები უცვლელები რჩებიან. დიახ, წვიმის წყალი მიწაში იჭონება, მაგრამ წარმოიდგინეთ ეს გარემოება სრულებით ვერ აფერხებს წყლის

ბრუნვას, მიმოსვლას. ჰაერსა ხმელეთსა და ზღვების შორის, ეს ბრუნვა მაინც უნაკლულოთ ხდება. მაშ, ბოლოსა და ბოლოს ერთი რამ უნდა ვიფიქროთ, შეიძლება ქვესკნელის წყალი ისევ მაღლა ბრუნდებოდეს? კიდევაც ეგრეა. ამაში ქვემოთ დარწმუნდებით. ქვესკნელის წყალი ზეით წყაროებს ამოაქვთ, წყაროს წყალი ღელეებს და მდინარეებს შეუდის და აქედან შემდეგ ზღვაში გადადის.

ახლა რომ შეგეკითხონ წვიმის წყალს რა ემართება, სად მიდისო? თქვენც პასუხი მზათა გაქვთ. ერთი ნაწილი მიწაში იჟონება და შემდეგ ისევ მაღლა, მიწაზე ამოდის წყაროების სახით. მეორეკი მაშინვე ღელეებათ და მდინარეებათ გადადის.

ამნაირათ წვიმის წყალი დედამიწიდან ორი გზით მიდის: ერთია ზესკნელის გზა (მდინარეები), მეორე ქვესკნელისა (წყაროები). უფრო მოხერხებული იქნება ჯერ ქვესკნელის გზა გავითვალისწინოთ.

II. როგორ ჩნდება წყაროები.

რაც უნდა ზერელათ დავათვალიეროთ რომელიმე ქვეყნის ზედა-პირი, ნიადაგი, და სხვა-და-სხვა მხარეები მიწისა, მაინც შევამჩნევთ რომ იგინი ერთი მეორესაგან დიდათ განსხვავდებიან, თუ სიმაგრით და თუ შეზავებულობით.

ზოგი მიწა ფხვიერია, სვრეტილებიანი, ზოგი კიდევ მაგარი, მჭიდროთ შეზავებული. ამისდა მიხედვით ზოგი მათგანი ბევრს წყალს იშრობს ზოგი ნაკლებს. ქვიშა—მიწა, მაგალითათ, ადვილათ იშრობს წყალს, რადგან ქვიშა—მიწა ფხვიერია, მისი შემადგენელი ნაწილები ერთი მეორეს არიან დაშორებულნი.

პირიქით თიხა-მიწა წყლისათვის გაუვალია; იგი წყალს არ იშრობს, რადგან ამნაირი მიწა პატარ-პატარა ნაწილებისაგან არის მჭიდროთ შეზავებული; ამისთანა მიწაში წყალი ვერც ზევით წავა და ვერც ქვეით, ამიტომაც წყალი ცდილობს სხვა გზა გამონახოს გასასვლელათ. ქვიშა-მიწა მშრალია, რადგან იქ წყალი მალე გარბის,

თიხა-მიწა-კი ნოტიო, სველი, რადგან იგი წყლითაა გაჟღენთილი. წვიმის წყალი ძირს, მიწაში გამუდმებული მიდის, აღარსად ჩერდება. კარგა ღრმა ორმო რომ ამოთხაროთ ნახავთ, რომ წყლის წვეთები ორმოს გვერდებზე ჩამოწურწკულობენ; პატარა ხანს უკან ორმოში წყალი ჩადგება. რომ კიდევაც ამოაქციოთ ეს წყალი, მაინც ორმო ისევ აივსება ზვიდან ჩამონადენი წვეთებით. ეს ცდა თქვენ იმას გიმტკიცებთ, რომ ქვესკნელში წყალი მუდმივ დენაშია, ძალიან ვიწრო ხვრელებშიაც-კი გაატანს, თუ სადმე შეხვდა. თუ შეხვდაო? მის მეტი რა არის ქვესკნელში! იგი სულ დახვრელილია, ხვრელიც ზოგი ვიწროა, ზოგი ფართო, ადვილათ გადის წყალი ამ ხვრელებში; რაც უნდა მაგრათ იყოს შრე შეკრული თუ დახვრელილია, წყალი მას უთუოთ გაუვა. ქვა-კირი, მაგალითათ, თავის-თავათ ძალიან მაგარია, წყალი იქ იშვიათათ გაატანს, მაგრამ წარმოიდგინეთ ქვა-კირის შრე ისეა დახვრელილი, თან ხვრელებიც იმდენათ ფართოა, რომ იქ აუარებელი წყალი გადის. მთიან ადგილებში ხშირათ წააწყდებით ზაფხულში აქა-იქ სველ ჭაობიან ადგილებს. ამ ადგილების ახლო-მახლო მზეს მიწა კარგა ხანია გაუშვერია, გაუხმია კიდეც, ხოლო ეს ადგილები ისევ სველი ჭაობიანი დარჩენილა.

მერე რა ანოტიავებს ამ ადგილებს? წყალი მათ საიდან მიმოუდის? იქნება ზვიდან პირდაპირ ჰაერმა მოაწოდა წყალი? მაგრამ მაშინ ხომ სხვა ალაგებიც დასველდებოდა. წყალი ზვიდან კი არა ქვეიდან, მიწიდან მოუვიდათ და ეს მუდმივი მიწიდან წყლის დენა ანოტიოვებს, ასველებს მათ. ბევრს სხვა ადგილას ნახავთ რომ წყალს მიწიდან არამც თუ უბრალოთ ამოუქონავს, არამედ პატარა ანკარა ღელეებიც-კი გაუჩენია. ერთ ერთს ამნაირ ღელეს თუ სათავემდის მიჰყვებით ნახავთ რომ მისი სათავე მიწიდან ამონახეთქი წყაროა.

წყაროები ბუნებრივი გამოსასვლელი გზებია ქვესკნელის წყლისათვის. მაგრამ იკითხავთ, ამ წყალს ეს გზები რათ დასჭირდაო, ან რა აიძულებს წყალს ქვეიდან ზვით ამოსვლასო? შემდეგი სურათი მოგახსენებთ ამის პასუხს; ეს სურათი მიწის შრეების მოწყობილე-



წ ყ ა რ ო.

ბას გიჩვენებთ; როგორც ხედავთ, შრეები ერთი მეორეზე არიან დაწყობილი. ესთქვათ ახლა რომ a-ნი არის რომელიმე წყლისაგან გაუვალი შრე, მაგალითათ თიხა. b-ნი კი მეორე შრე ფხვიერი, ქვიშა, წყლისათვის ადვილად გასავლელი. წვიმა ზემო შრეში a-ში ადვილათ გაირბენს, ხოლო მეორე შრეში b-ში ველარ გაატანს, თიხა აღარ გაუშვებს; წყალი ან აქვე შეგუბდება ან და შრეს სიგძე სიგანეზე მიაწყდმოაწყდება. ზვით ამოსვლა წყალს მხოლოდ რომელიმე ხვრელით შეუძლია (წყარო). და რაკი ხვრელები ყოველთვის ბლომათ არის შრეებში, წყალიც ადვილათ პოულობს ზვით ამოსავალ გზას.

მხოლოდ წვიმის წყლის მომეტებული ნაწილი ქვესკნელში უფრო დიდს სიღრმეზე მიდის. იქნება ასე შორს წასული წყალი სამუდამოთ იკარგებოდეს? არა, წარმოიდგინეთ იგი ისევ დედამიწას უბრუნდება. ამის და გასაგებათ ჩვენ დავაკვირდეთ და გავსინჯოთ რომელიმე წვიმის წვეთი ზეციდან გადმოვარდნილი, როცა ეს წვეთი დედა-მიწის კანს გაირბენს და ქვესკნელის ხვრელებში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ისევ ზვით ამოყოფს თავს.

წვეთი სხვებთან ერთათ მიწაში გარბის, ამ წვეთებს კიდევ სხვა წვეთები უერთდება და ამნაირათ ჩნდება პატარა ნაკადული ან მოზრდილი ღელე; ღელე მიწის შრეების ხვრელებში იკაფავს გზას. ამ გზით შეიძლება ის რამოდენიმე ათასი ფუტის სიღრმეზე ჩავიდეს მიწაში, სანამ ბოლოს იმისთანა შრე არ წააწყდეს, საცა იგი ველარ გაატანს. ამ მოგზაურობის დროს მას კიდევ სხვა ნაკადულები, ღელეები ემატება, ყველა ეს წყალი წყლისაგან გაუვალ შრეზე მოიყრის თავს. აქ კი რაღა ქნას! ძირს შრე არ გაუშვებს, ზვით,

—მაგრამ რანაირათ? როცა ზემოდან კიდევ სხვა წყალი აწვება, სხვა საშუალება აღარა არის რა ისევ განზე უნდა სცადოს, იქით უნდა გაიკვლიოს გზა. კიდევაც წყალი განზე ეძებს გზას, იკლაკნება, ხვრელებს გაუდის ხან მაღლა, ხან განზე და ასე სანამ დედამიწის კანს არ მოატანს და წყაროთ არ ამოხეთქავს.



ამნაირათ ყოველი მიწიდან ამონახეთქი წყარო იმას მოწმობს, რომ ქვესკნელშიაც იმისთანაევე წყლის ბრუნვა ხდება, როგორიც ზეით დედამიწის ზურგზედ. წყლის ბრუნვას ქვესკნელში სხვათა შორის განგებ ამოთხრილი ორმოებიც ამტკიცებს. მაგალითათ ჭას იმიტომა თხრიან, რომ იქ წყალი შეაგუბონ. სხვა კიდევ რამდენი ორმოა დედამიწაზე წყლით ავსილი. მათ ამოსაშრობათ წყალი უნდა ამოაქციოთ იქიდან. ხოლო წყლის ბრუნვა ქვესკნელში ისე სწრაფათ ხდება, რომ ამოქცეული წყლის მაგივრათ ორმოებში ახალი წყალი ჩნდება.

სან—ინ.



ომიანობა ზღვაზე.



(ვუძღვნი ლუარსაბ ძნელაძეს)

ოდი, ნადო, ზღვაზე ომიანობა ვითამაშოთ— უთხრა პირველი კლასის გიმნაზიის მოწაფემ, თედომ, თავის ცხრა წლის დას ნადოს.

— ვითამაშოთ.—უპასუხა ამაყათ ნადომ, რომელიც ძალიან ყოჩაღი ბავში იყო და ხშირათ თამაშობის დროს ჯობნიდა ხოლმე ძმას,—აბა, რანაირათ ვითამაშოთ? დაეკითხა ბოლოს ნადო.

— შენ იაპონია იყავი და მე რუსეთი... დაიწყო თედომ.

— უკაცრავათ! შენ იაპონია იყავი და მე რუსეთი! შეაწყვეტინა ნადომ, რომელსაც საშინლათ ეჯავრებოდა იაპონელები.

— მეორე თამაშობის დროს შენ რუსეთი იყავი და მე იაპონია,—უცებ მოიფიქრა თედომ.

— მაშ კარგი, დაეთანხმა ნადო...

— მამას სამუშაო ოთახი—დაიწყო თედომ—იყოს ნავთ-სადგური ჩემულპოსთან, საწერი მაგიდა-კი თითონ ჩემულპო. სასტუმრო დარბაზი ზღვა; ჩემი ველოსიპედი იყოს გემი „ვარიაგი“ და პეტოს სათამაშო ეტლი შენი ხომალდი. ამასთან — განაგრძო თედომ — დედა და მამა, როგორც შეეფერება სახლის უფროსებს, მთავრობა იქნება. ძიძა იყოს საფრანგეთი, მზარეული ქალი ეფროსინე ინგლისი, სამზარეულო კორეია, დერეფანი მანჯურია.

ამას გარდა საწოლი ოთახი ჩინეთის სახელმწიფოთ გამოაცხადეს, და თავიანთი ერთი წლის ძამია პეტო, რომელსაც ამ დროს აკვანში ტკბილათ ეძინა—ჩინეთის ხელმწიფეთ.

ომის გეგმა ამ გვარი იყო: „ვარიაგში“ მოთავსებული რუსეთი უნდა ცდილიყო, რომ ნავთ სადგურიდან ზღვაში გასულიყო და იაპონიას, უნდა ყოველი ღონე ეხმარა და არ გამოეშვა ნავთ სადგურიდან. ომიანობას, ამ დროს ხელს უწყობდა ის, რომ მთავრობა სავაჭროთ იყო წასული, საფრანგეთი და ინგლისი კორეიაში სარეცხს რეცხავდენ და ჩინეთს ხომ, როგორც ზემოთაც ვთქვით, თავის სახელმწიფოში ტკბილათ ეძინა.

როდესაც ყველას თავთავისი ადგილი გაუნაწილეს მებრძოლმა სახელმწიფოებმა დაიწყეს საომრათ მზადება. თედომ სალოგინე ოთახიდან გამოათრია თავისი სამ-თელიანი ველოსიპედი, მის ხელის მოსაკიდთან თოკით მიამაგრა მამის ჯოხი და ჯოხის ზემოთა წვერზე მოაბა თავისი ცხვირსახოცი, ეს იყო დროშის მაგიერი.

ამაზე ნაკლებ მზადებაში არ იყო მეორე სახელმწიფო—იაპონია:—მისმა წარმომადგენელმა პეტოს ეტლში დიდის გულმოდგინებით ჩაალაგა მდივნის ყველა ხუთი ბალიში, რომ უფრო მოხერხებით ჩამჯდარიყო შიგ. ეტლის სატარებელ წინა ჯოხს ზევით აუშვირა თავი, თოკით მიამაგრა ეტლზე და ზემოთა წვერზე მოაბა დედოფლის მწვანე საბანი.

ამას გარდა ორივე და-ძმას გაგონილი ჰქონდათ, რომ მეომარი მეზღვაურნი საომრათ სულ სხვა ნაირ ტანისამოსს იცმენ ხოლმე და მოინდომეს, რომ ამ მხრივაც უკან არ ჩამორჩენილიყვნენ ნამდვილ მეომარ მეზღვაურთ; თედომ ჩაიცვა მამის ფრაკი, თავზე დაიხურა სამკუთხი ქუდი, რომელსაც მამა მხოლოდ დიდ დღესასწაულებში იხურავდა ხოლმე და მხარი აიხვია თავისი ლურჯი აბრეშუმის ყელსახვევით.

ნადომაც, თუმცა იმ შემთხვევის შესაფერი ტანისამოსი არა ჰქონდა, მაინც მოახერხა: წამოისხა დედის დიდი თბილი ჩასაცმელი,

დაიხურა დედის საზაფხულო ქუდი და ხელზე გაიკეთა ხელთათმანები.

„ვარიაგის“ უფროსმა საომარ იარაღათ ამოირჩია ბუხრების საჩხრეკი, თავ-მოკაუჭებული რკინა. იაპონიამ კი იატაკების საგველი გრძელ ტარიანი ცოცხი ამჯობინა, რადგან ამითი უფრო ადვილათ მოვიგერებ მოსეულ მტერსაო.

მეომრებმა მტკიცე პირობა შეჰკრეს, რომ საომარი იარაღი ენდა ეხმარათ მხოლოთ გემების წინააღმდეგ, ისე, რომ შიგ მჯდომთ არ მოხვედროდათ. რადგან იაპონიის საომარ იარაღს საფრანგეთი ხშირათ ხმაროობდა ხოლმე ჩინეთის დასაგველათ და რუსეთისას ინგლისი ერთ თავათ ბუჯრებში ურევდა, ამიტომ შესაძლებელი იყო მეომართა ტანისამოს ბლახა დღე დასდგომოდა.

დაიწყო ბრძოლა!..

პირველში კარგათ, თავ დაჭერილათ ომობდენ, ეშინოდათ ჩინეთს არ გაეღვიძნა, რადგან ამ შემთხვევაში საფრანგეთი ჩაერეოდა და ამას ხომ ომის გათავება მოჰყვებოდა. მაგრამ, რაც ხანი გადიოდა მეომრები თანდა თან ცხარდებოდენ და მათი ხმაურობა ძირის სართულში მცხოვრებთათვის მეტათ საგრძნობელი ხდებოდა. და, როდესაც რუსეთმა იაპონიას უკ.ბედათ ბუხრის საჩხრეკი რკინა ხელზე მიარტყა და იაპონიამ ამის საპასუხოთ რუსეთს ცოცხი სახეზე ჩამოუსვა, თავდაჭერილი ბრძოლა გაბრაზებულ თავ დაუჭერელ ომათ გარდიქცა. რუსეთმა თავი გაითავისუფლა ყოველი პირობისაგან, დაველო ხელი მოწინააღმდეგის ხომალდის წვერს, ასწია მაღლა და იაპონია მთელის თავისის საომარის იარაღით ნავთსადგურის ნაპირზე გადმოგორდა და თავი კარგა ღონიერათ დაახალა იატაკს.

— ვაშა, ვაშა, ვაშა! დაიღუპა მტრის ხომალდი! გაისმა „ვარიაგიდან“ რუსეთის ხმა.

ამისთანა შერცხვენისაგან თავზარ დაცემულმა იაპონიამ დაველო ხელი თავისს საომარ მასალიდან უდიდეს ბალიშს და გამეტებით ესროლა მოწინააღმდეგეს. სროლა თუმცა ღონიერი იყო, მაგრამ მიზანში კი ვერ მოხვდა, გაუარა მოწინააღმდეგეს გემს გვერდზე, მოხვდა მშვიდობიან ჩემულპოს ნავთსადგურს და ისეთი ნგრევა-მტვრევა მოახდინა, როგორიც არც ერთ იაპონიის ზარბაზანს არ

მოუხდენია: საწერ-კალმის მოწყობილობა ყველაფერი აქეთ-იქით გაფანტა, დიდმა სამელნემ კოტრიალ-კოტრიალით გაიარა მთელი ნავთ სადგური და თან გზა სულ შავი ზოლებით ააჭრელა. სამელნიდან გამანადგურებელი სროლა მოხედა ლამპას, რომელიც მაგიდასთან ახლო ფანჯარაზედ იდგა და თავზე ჩამოსაფარებელი შუშა მთლათ დაუმსხვრია. ლამპა კიდევ ფანჯრის შუშას ეცა და ქარს თავისუფალი ქროლვის გზა გაუკეთა. ხმაურობა და ბრახა-ბრუხი იმდენათ საგრძნობელი იყო, რომ გამოეღვიძა გულით მძინარ ჩინეთს, რომელსაც მთელ ომიანობის დროს ისე ტკბილათ ეძინა.

— ეს რა ჰქენ! გაისმა ხმა „ვარიაგიდან".

— შენა ხარ დამნაშავე, შენ დაიწყე პირველათ — უპასუხა იაპონიამ. უცებ ზარის ხმა გაისმა!

— მთავრობა!!! შიშით წარმოსთქვეს ორივე მებრძოლმა მხარემ და ფაცი-ფუცით დაიწყეს საომარ ტანისამოსის გახდა.

— თქვე მოუსვენრებო, არ გესმით, რომ პეტო ტირის! დაუყვირა მეომრებს საფრანგეთმა და გაექანა მანჯურიისაკენ კარის გასაღებათ.

„მოუსვენრებს" ძალიან კარგათ ესმოდათ ჩინეთის ხმა, რომელიც ისე გარკვევით გაისმოდა მთელ შორეულ აღმოსავლეთში, მაგრამ ეხლა რა იმისი ჯავრი ჰქონდათ.

— ჩემო დედა, იცი რა გითხრა!.. რა უბედურება... საქმიანის კილოთი დაიწყო იაპონიამ, როდესაც მთავრობამ ფეხი შემოსდგა მანჯურიაში...

არ გაუელია ხუთ წამს რომ მებრძოლი ხელმწიფენი ყურებ გაწითლებული იდგნენ ხმელთა შუა ზღვის (დარბაზის) აქეთ-იქით კუთხეში. მთავრობას კი აეყვანა ხელში ჩინეთი და ინგლისისა და საფრანგეთის დახმარებით ცდილობდა წეს რიგზე მოეყვანა არეული ჩემულპო, მისი მიდამოები და საზოგადოთ მთელი შორეული აღმოსავლეთი.

ს. ტიტიშვილი.

(თარგმანი).

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი სოდ. გოშაძისაგან).

ორი ასოსგან შესდგება სიტყვის მარცვალი პირველი.
ბოლოდან ნიშნავს წყლის ორმოს, ნახავ თუ ახლოს მიხვედი.
მეორე წალმა-უკულმა, ორჯერვე გეტყვის უარსა,
ამას ადვილათ მიხვდები, თუ ამუშავებ ჭკუასა.
მთელი—მხარეა—მცხოვრებნი შთამომავლობით ქართველნი,
აღიარებენ მაჰმადსა სარწმუნოებით ოსმალნი.
მასში სხვა მხარეც იმალვის, იმერთა მიწა-წყალია,
იპოვნი თუ რომ ბოლოდან მთელს გადაავლე თვალია.

მ ა ს ხ ა რ ა.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუძახიშვილი-წერეთლისა.